

ქართული განები



საქართველოს
მეცნიერებათა
კულტურის
გაზეთი
№4 (281)

15 ივნისი-
15 ივლისი
2020

ფასი 1 ლარი
გამოძის
თვეში რჩევა

რევაზ მიშველაძე



გინახავთ ნაადრევი გაზაფხულის ქუთაისი?

უკეთესს რას ნახავთ.

ტყემალი, ბალი და ატამი თითქმის ერთად ჰყვავის.

ზღაპრის ფერებით მოჩითულ ქუჩებს ყვავილების ნამქერი და დამათრობელი სურნელი მოსდებია.

ვერა, ამ იმერულ გაზაფხულს ვერსად დაემალები, მითუმეტეს თუ იმ ასაკის ხარ, როცა სიყმანვილეს ემშვიდობები და პორიზონტები გაურკვეველი ნათების ფიორდები ჩანს.

სკოლას ვამთავრებდი.

მეოთხე გაკვეთილზე პოეტი ზურაბ კუხიანიძე შემოვიდა და ლამის ჩურჩულით გვითხრა:

- მომისმინეთ, აიღეთ ჩანთები და როგორც იცით, ორ-ორად, ჩუმად ჩადით ყველა. თქვენი ხმა არ გავიგონო. მოსახვევთან კუთხეში დამეღლოდეთ. ექსკურსიაზე წაგიყვანთ.

ზურაბი ჩვენი უსაყვარლესი მასნავლებელი იყო და ხშირად დავყავდით ხან უქიმერიონზე, ხან ანდრია სინაურთან, ხან მზერალთა კავშირში დავით კვიცარიძესთან შესახვედრად და ხან რომელიმე ქუთაისელი პოეტის ახალი წიგნის პრეზენტაციაზე დარბაზის შესავსებად.

ჩვენც მეტი რა გვინდოდა.

ავიარეთ წულუკიძის ქუჩა, მარჯვნივ დავტოვეთ ქუთაისის ციხე, გადავიარეთ თეთრი ხიდი, პირველ სკოლასთან მარჯვნივ გავუხვიერ და ტუფისფერ ქალაქის შენობას მივადექით.

ქართული კინო მამა

ლომა

ქალაქი რა საექსკურსიო ადგილია-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ხმამალია როგორ წამომცდებოდა.

ზურაბ კუხიანიძემ მე და ვაჟა გუბელაძე დაგვიმგზავრა, სხვებს უთხრა, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, ხუთ წუთში დავბრუნდებით.

პირველივე სართულზე კიბის ქვეშ პანანინა ოთახი იყო, ისე პატარა, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. მაგიდის ნათურა უნათებდა თავპირს და ხელებს ნარბულვაშიანად გათეთრებულ, ტილოსკიტელიან კაცს, რომელიც რაღაცას გულმოდგინედ „აატვირებდა“.

ზურაბმა კარი შეაღო. ჩვენ გარეთ დავრჩით.

- გამარჯობა, ბატონო ვასილ.

- გაგიმარჯოს გამჩენა.

მასპინძელს თავი არ აუწევია.

- მე ზურაბ კუხიანიძე ვარ, თუ გახსოვართ.

„ბატონმა ვასილმა“ სათვალე შუბლს ზემოთ ხელის ზურგით აინია და ზურაბს დააკვირდა.

- ვერ მოგატყუებ, არ მახსოვხარ.

ზურაბმა გაიღიმა, შემოგვხედა და თვალი ჩაგვიკრა.

- ასე იცის, თუ არ ცალია, არ ახსოვხარ.

- მეოთხე სკოლის მასნავლებელი ვარ. მოსნავლეებს თქვენთან შეხვედრა უნდათ.

ვასილმა ელექტროლუმელი განზე გააჩინა.

- ასე გეთქვა, შე კაი კაცო. რომელი სკოლა ვარო, რა მითხარი?

- მეოთხე სკოლა.

- რა მქვიაო, რა მითხარი?

- ზურაბი?

- ასე მოვილაპარაკოთ, თვენახევარში გამომიარე და თუ საქმე არ მექნა, მიგიღებთ. მოსნავლეებს

რავა ვეტყვი ვარს. რომელი სკოლა ხართ?

- მეოთხე.

- შენი სახელი ქე დამავიწყდა.

- ზურაბი, ზურაბი კუხიანიძე, პოეტი - მეტი დამაჯერებლობისათვის დაამატა ზურაბმა, მაგრამ როგორც შევატყვე, მის ტიტულს ელექტროსაგნების სპეციალისტზე დიდი გავლენა არ მოუზდენია.

უხერხული სიჩუმე ისევ პოეტმა დაარღვია.

- ბატონო ვასილ, მოწაფეები უკვე მოვიყვანე. ქვევით გიცდიან. გეხვენები, ნუ გაგვანბილებ. უთხარი ერთი-ორი სიტყვა და წავიყვან უკან.

- კი მარა, ასე შეუთანხმებლათ,

შე კაი კაცო, მე რო მოგადგე და გამოგიყვანო გაკვეთილიდან, რავარ ხასიათზე დადგები? ვმუშაობ. ხო ხედავ. მე აქანა კი არ ვგლახაობ, ამხელა შენობის ელექტრომომსახურება მაბარია.

ისევ რებუსური სიჩუმე.

მასპინძელმა მაგიდის ალაგება დაინიო, რაც კარგ ნიშნად მეჩვენა. წამოდგა. ორი თავით მაღალი იყო ზურაბ კუხიანიძეზე. ბოხი ხმა პქონდა და ენას ოდნავ, სულ ოდნავ უკიდებდა.

- შენი ხათრით ბატონო რომანზ ...

- ზურაბი ბატონო, - შეაშველა კუხიანიძემ.

- ბატონო ზურაბ, თვარა იმნაირ საქმეს ვაკეთებ, ხელს არ გავუშვებდი, — მერე ჩვენ შემოგვხედა, — გამიძეხით აპა, სად ხართ ჩამომხტარი.

- ქალაქი მარცხენა მხარეს პატარა სკვერი იყო, მოხუცს სკამი დავუდგით, ჩვენ შემოვუკაბდით.

- მოსნავლეებო, ჩვენს ნინ ბრძანდება დიდად დასაფასებელი, ისტორიული პიროვნება, ქართული კინოს მამამთავარი ვასილ ამაშუელი, რომელმაც 1912 წელს 28 ნილის ახალგაზრდამ გადაიღო პირველი ქართული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩესუმში“, რითაც დასაბამი მისცა ქართულ კინემატოგრაფს. გთხოვთ ყურადღებით მოუსმინოთ.

ჩვენ სმენად ვიქეცით, მაგრამ ვასილ ამაშუელი ხმას არ იღებს. თავის თითებს დასცექერის.

- მოგვიყევით, ბატონო ვასილ, - ზურაბმა კიდევ ერთხელ სთხოვა.

- რა მოგიყვეთ, მეტი რაია მოსაყოლი. რაც უნდა მეთქვა, ქე გცოდნია შენ და მოდი ბარელამ, შენ ილაპარაკე - თავი ასწია ქართული კინოს მამამ.

- აინტერესებთ მოსწავლეებს, როდის, რანაირად, რატომ, როგორი იყო აკაკი წერეთელი.

ვასილმა თავი ასწია. ამჟამად თითების ნაცვლად ოლიანდრებს დაადგა თვალი და დაინიო:

- რაია მოსაყოლი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის დღეს.

ამაშუელითიდან ვარ მე. შროშასთან პატარა სოფელია, აქედან მარჯვნივ, მაღლობზეა შეფენილი.

რვა შვილი ვყავდით მამაჩემს. ორი გოგო და ექვსი ბიჭი.

მე ნაბოლარა გახლავართ.

ახლა ჩემი უფროსი და და მე ვართ დარჩენილი.

სხვები მიყვნენ ერთიმეორეს.

დამანებე თავი. არაფერი არ ყოფილა ე წუთისოფელი. სულ არაფერი.

ასე მგონია, ერთი შემოხედვა შემოხედას ადამიანი, თავს დაგიკრავს და წავა.

მერე უნდა განამოს, უნდა განვალოს, უნდა დაგტყვიროს მონატრებამ.

ახლა აღარავინ მენატრება დედაჩემის გარდა.

ერთი ნამით დამანახა დედაჩემი და მთელ დარჩენილ სიცოცხლეს მივცემ.

თუმცა რაღა დამრჩა, გევედი ბოლოში.

ოცდასუთი წლის რო გავხდი, მე ვთქვი, ამ თოხის ბლაუზს მინაზე ყოველთვის მოვასწრებ, წავალ, გავიარ-გამოვიარ ქვეყანაზე. თუ ვერაფერი გავანყვე, გავლევ ჩემ წილ წუთისოფელს ამაშუელში, რავაც ჩემი მამაპაპის წესია — თქვა.

დავჯექი შორაპანში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მატარებელზე და ამოვყავი ერთ კვირაში თავი, არც მეტი არც ნაკლები პარიზში.

ჯერ თბილისშიც არ ვარ ნამყოფი და პირდაპირ პარიზს გეახელი.

მატარებელი დადიოდა „შორა-პანო-პარიზი“ ენერა ვაგონს, ისე რავარც ახლა „ტყიბული-ქუთაისი“ აწერია.

რა ვენა, რა წყალს ვეცე.

ობჩის ოთხნედი მაქვს დამთავრებული და ორი თხის ფული მიყვავის ჯიბეში, მეტი არა. ორი თხა გაყიდა ზესტაფონში და მომცა მამაჩემმა. არ ვართმევდი, ერთი თხის სალირალი მომეცი, დანარჩენი თქვენ დაიტოვეთ-მეთქი.

რო გამახსენდება, მეცინება.

თურმესამიდიხარ, ვისდაეკარგე. ე ჩემი გროშები ორ კვირაში შემომეჭამა.

თურმე ღმერთი არ განაწირავა თავის გაჩერილს.

მივდექი, მოვდექი.

ქვეყნის ქართველებია სან-მიშელ-ზე.

ზოგი ახალი ჩასული, ზოგი ძველი.

მიმასწავლეს ტიპოგრაფიული ლიცეუმიათ ტრიუმფალურ არკასთან ახლოს, სტუდენტებს უგამოცდოთ ღებულობენ, თან ასწავლიან და თან ამუშავებენ სტამბაში. საერთო ბინაც იქვე აქვთ და სამჯერადი კვებაც. თანაც თუ ყალთაბანდობა შეგატყვეს, ხელათ ამოგერავენ პანლურს და გამოგაგდებენ.

მივედი, მიმიღეს.

მეორე კურსზე პატარა ხელფასიც ქე დამინიშნეს.

გავეჩვით პარიზს ნელ-ნელა.

მეოთხე კურსზე ვარ. ვამთავრებ ლიცეუმს. პატარა ფულიც ქე დავაგროვე და რა დაგიმალო, ტირილა-მდე მენატრება ჩემი სოფელი.

„სინემას სახელოსნო“ აწერია სან სებასტიანზე.

გავჩერდი.

მე ვთქვი, რაია ე „სინემა“ გევიგებ და წავალ ჩემ გზაზე-მეთქი.

ჩოვუყვით ქვევით კიბეებს.

დიდ დარბაზში ამოვყავი თავი.

ორმოცდათ კაცამდე მაინც ირევა.

რაღაცა დურბინდში იჭვრიტებიან, მაკრატელით რაცხას ჭრიან. არის ერთი სიცილ-ლორდოცი.

ვისთან ხარო, ვიღაცამ მკითხა.

არაფერი ისე, მაინტერესებს აქაურობა-მეთქი.

მომიყვანეს ვინცხა დაბალი, ლურჯხალათიანი, სათვალიანი კაცი.

მოგნონს ეს ხელობა? მკითხა.

არ ვიცი რა ხელობაა. პირველათ შამევიხედე-მეთქი.

ჩვენო მოძრავ ფოტოგრაფიას ვაკეთებთო, ფრანგულად „სინემა“ ჰქვიაო.

შემიყვანა პატარა ოთახში და მაჩვენა, როგორ გარბის კაცი, როგორ ხტება ხიდიდან, როგორ ჭამს ვაშლს...

ეს ყველაფერი თეთრ კედელზე გადის.

გადავირიე კინაღამ.

რას საქმიანობ პარიზში, მკითხა იმ სულკურთხეულმა (აღბათ ახლა ცოცხალი აღარ იქნება).

ტიპოგრაფიული დავამთავრე-მეთქი. ახლა ჩემს სამშობლოში, საქართველოში, კავკასიაში ვაპირებ წასვლას-მეთქი.

მხარზე დამკრა ხელი.

მთელი ცხოვრება სტამბის მტვერში უნდა გაატარო, ისეთი საქმე აგირჩევიაო. ერთს გირჩევ; „სინემა“ მსოფლიოში ახალი საქმეა, შენს ქვეყანაში, აღბათ, ჯერ არ ეცოდინებათ. თუ სამუალება გაქვს, იყიდე აპარატი, წაიღე კავკასიაში და დამიჯერე, არა მარტო გამდიდრდები, სახელსაც გაითქვამო.

ვიფიქრე მთელი ღამე. დავეკითხე სხვებსაც და მეორე დღეს მივადექი „სინემას სახელოსნოს“. გამომყვა ჩემი „მრჩეველი“ და კინოაპარატი მაყიდია.

ისე ძვირი ღირდა ერთი წლის სამყოფი ფირი და აპარატი, რომ უკან დასაბრუნებელი ფული ძლივს მოვაქუჩე და გამოვნიე საქართველოსკენ.

გამიგრძელდა სიტყვა, მარა არ შეგეშინდეთ, მალე მოვრჩები.

ქუთაისში დევიდე ბინა.

ვიღებ პატარა რაღაცებებს.

ერთი-ორი ქორნილი, ერთი-ორი ქელეხი და გამაქვს თავი, ვშოულობ ცოტას.

ბევრი არც მჭირდება, უცოლშვილი კაცი ვარ.

მახსოვს, 1912 წლის 2 ივლისი იყო, გრიგოლ დიასამიძე მოვიდა ჩემთან.

სიცხეა იმნაირი, დედა შვილს არ ეიყვანს.

ოცდასამშიო, რაჭაში ვაპირებთ წასვლასო, აკაკი წერეთელი მიგყავსო. ასე ათი-თხუთმეტი კაცი ვიქებით, თუ შეგიძლია ჩემი მოგზაურობა იქეთ-აქეთ გადაიღო და, თანახმა იქნები, რამდენი დაგვიჯდება.

ჯერ ერთი, მესიამოვნა ასეთი საპატიო საქმე რო შემომთავაზეს, მეორეც, აკაკი ჩემთვის ძვირფასი სახელი იყო და მესამეც, არც მე ვიყავი ნამყოფი რაჭაში, რო არ დაგიმალოთ.

ყოველივე ამის გამო, რაც მე დამიჯდებოდა, ფირის და კინონამდების ფული, იმის მესამედი ვუთხარი.

კარგიო, თავი დამიქნია და წავიდა.

გადის დღეები, არ ჩანს გრიგოლი.

აღბათ, ეძვირა-მეთქი და ვინაზე, რატომ არ ვუთხარი, სრულიად უფასოდ გადაგიღებთ-მეთქი.

21 ივლისს გამოჩნდა.

ხვალ მივდივართო, ცხენი თუ გყავსო.

არა-მეთქი.

აბა, ცხენსჩენ გიშოვითდახვალ, დილის ექვს საათზე გელოდებით ქაიხოსრო წერეთლის სახლთანო.

ცხენის ქირის ფულს საერთო ანგარიშიდან გამოგიბრით, იცოდეო.

კი ბატონო, ყაბულს ვარ-მეთქი.

ოცდაორ ივლისს შევიკრიბეთ ქაიხოსრო წერეთლის სასახლეში.

სამგზავროდ გახაზირებული პოეტი თავადის ბაღჩაში იდგა და ჩემთვის უცნობ ორ მამაკაცს ესაუბრებოდა.

გრიგოლ დიასამიძემ და სოსიკო მერკეილაძემ ჩემი თავი რომ წარუდგინეს, გაიღიმა და ხელი ჩამომართვა.

- სად ისწავლეთ ეს ხელობა, ყმაწვილო? - მკითხა.

პარიზში-მეთქი.

- ოპო?! ყოჩაღ, თვითონ პარიზში, კაცო? ვყოფილვარ პარიზში, ჩინებული ქაღაქია.

- როგორი იყო? - ჰკითხა ზურაბ კუხიანიძემ.

- მაღალი. წარმოიდგინეთ ასე, ასე ჩემზე უფრო მაღალი. წელში გამართული, კოხტა, პენიანი მოხუცი გახლდათ, ბზის ხელჯოზი ეჭირა და მუქი ნაცრისფერი, უჩვეულოდ გრძელპიჯაკიანი კოსტიუმი ეცვა კოსტუმის-ფერივე უილეტით, თეთრ პერანგზე ლურჯი პალსტუხი ეკეთა, უილეტის ჯიბეში კვართიდან ძეწკვით გადატანილი საათი ედო, პიჯაკის მარჯვენა გულის ჯიბეში თეთრი მიხაკი. გრძელი, ფეხსაცმელებთან მრავალგზის მოკეცილი, განიერი შარვალი ეცვა და ძალიან დიდი ასე, დაახლოებით ორმოცდარვა ზომის ევროპული შავი ტუფლები. ეს რაც შეეხება ჩაცმულობას.

ლამაზი, თაფლისფერი თვალებით კეთილ სხივებს აფრქვევდა. ზოგჯერ დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ თუ რამეს თქმას დააპირებდა, ის დაღლა სადღაც ქრებოდა და სახეზე მომნუსხველი ღიმილი დასთამაშებდა.

თმაწვერიანად გათეთრებული გახლდათ. სუფთა ბამბისფერ, სპერტა სითეთრეს დაეთოვა ერთ ზომაზე შეერეჭილ თმაზე და წვერებზეც. წარბებიც კი ულვაში-წვერისფერი ჰქონდა და ეს ყოველივე საოცრად მიმზიდველ იერს აძლევდა.

თავს მაღლა სწევდა, რადგანაც მარჯვენა ქუთუთოს დამბლა ჰქონდა.

დადიოდა გრძელი, დინჯი ნაბიჯებით.

ლაპარაკობდა ოდნავ ხრინჩიანი ხმით, მაგრამ სიტყვებს გარკვევით გამოთქვამდა და, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ზემოიმერული

კილო ჰქონდა, საუბრის დაწყებისას გაიძულებდა ბოლომდე გესმინა.

აშკარა იყო, რომ ზუსტი მუსიკალური სმენის პატრონი გახლდათ და სიმღერაში ხშირად ერეოდა. უმტესესწილად მეორე ხმას ამბობდა, მისგან პანი არ მომისმენია.

ეტლში გრიგოლ დიასამიძის გვერდით იჯდა. წინ გამვერილი ხელებით ჯოხზე დაყრდნობილი. რუხი ფერის ფრანგული „ცილინდრი“ ეხურა.</p

ნიეთ სკამი, ასე, ასე, აქეთ ნამოდით! მშვენიერია-მეთქი ვყვირი.

დაიღლა აკაკი და მომიბრუნდა, ე, ბიჭო, დაგვანებებ თავი, უთხარი დამსვან, კიდო შენი კამანდრობა უნდათ ამგენს? ნამოკრავენ ფეხს რაცხას და ჩამქოსავენ ხრამშიო.

ჭრებალოში აუარება მოყვარული შეეგება პოეტს.

შუკები ხალხს ვერ იტევდა.

ხუთიათასამდე რაჭველი მაინც იყო იმ შემოგარენში.

ახლა ვფიქრობ, რა მჭიდროდ იყო დასახლებული იმ დროს ჩვენი რაჭა.

ახლა მთელი რაჭა რო მოიარო და ზედ ლეჩხუმიც მიაყოლო, ხუთიათას კაცს ვერ შეკრიბავ.

ჭრებალოში ბავშვებმა აკაკი წრეში მოიქციეს, ირგვლივ უვლიან და უმღერიან.

ჩავერიე: ახლა დიდებმა ჩაკიდეთ ხელი ერთმანეთს და გააჩაღეთ დავლური-მეთქი, გავეცი განკარგულება ჩემი ჭკუით.

ბავშვები გაჩერდნენ. ახლა ბავშვებს ვეცი; განაგრძეთ თქვენ, ისე რომ ორფა დავლური დაუაროთ პოეტს-მეთქი.

თეატრი იყო ნამდვილი. რაჭველების ორფა დავლური და აკაკი შუაში.

მზე აცხუნებს უბედურათ.

მაღალ, ლამაზ შუბლზე აჭერს პირდაპირ პოეტს.

ცილინდრი ხელში უჭირავს.

არა და რაჭველებმა რაღაც დაი-წყეს, ცეკვას არ ამთავრებენ, ასე იციან მაგენმა.

დაიხურეთ ქუდი, ბატონო აკა-კი-მეთქი, ვუყვირი, გავაგონე რავ-არც იქნა.

დავლური რო დამთავრდა ჩიხ-ტიკოპანმა ქალმა პოეტს წითელი ვაშლები მიურბენია.

- ჩემი ეზოს ვაშლებია, პირი გაის-ველეთო.

მაღლობის ნიშნათ აკაკიმ ხელზე აკოცა, თქმით კი ასე უთხრა:

- დიდი მაღლობა, ქალბატონო, მარა სად მაქვს მაგის კბილები.

ვაშლები მაინც გამოართვა და პიჯაკის (სიგრძით ფრაკს რო ჰერა-და) ჯიბეში ჩაიდო.

სუფრაზე ქაიხოსრო გელოვანმა ჰკითხა, როგორ მოხდა, დვირფა-სო პოეტო, რომ რაჭაში პირველად ხართო.

მახსოვს აკაკიმ ასე უპასუხა:

„ბატონებო, მაღლობას გიძ-ლვნით ასეთი გულწრფელი თანა-გრძნობისთვის, მაგრამ ეს სიტყვები ჩემდამი მომართული, გადაჭარბებულათ მიმართინა. ამდენი ქების ღირ-სი არა ვარ. რაც შეეხება იმას, რომ სხვა კუთხები მოვიარე და რაჭაში პირველად ვარ, ამაზე ბოდიშს ვიხ-დი, მაგრამ ამას თავისი საიდუმლოც

აქვს. როგორც ყველაზე ტკბილი რამე საბოლოოდ გადავდევი რაჭის დათვალიერება, რომ მოხუცებულობის დროს დავმტკბარიყავი“.

ნიკონმინდაში სილამაზით მონუსხული აკაკი ირგვლივ უვლიდა ტაძარს და რაღაცას ბუტბუტებდა, სამჯერ შემოუარა ნიკონმინდას.

მე „ნიკონმინდა“ შემთხვევით არ ნამომცდენია; ახლა რატომდაც „ნიკონმინდას“ ეძახიან. რას ჰქვია, ბატონო, „ნიკონმინდა?“ ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზეა აშენებული.

ნიკონმინდის ეზოში ცაცხვის ჩრდილს შეფარებულ პოეტს ვიღაც ძალიან მაღალი, ჩოხოსან-ხან-ჯლიანი, შუახანსგადაცილებული კაცი მიუახლოვდა და გაქონილ ქალალდში შეხვეული რამ გაუწოდა.

- ბატონო აკაკი, ჩვენ ნიკონმინდელებმა თქვენს შესახვედრად ფული შევაგროვეთ, მარა ამდენი ქვე აღარ დაგვჭირდა და თქვენ მოგართვით, იქნებ რამეში გამოიყენოთ.

პოეტი ნამეტნავად გაახარა ამ საჩუქარმა. თქვენ აგაშენათ ღმერთმაო, ამ ფულმა სულზე მომისწრო, თორემ კუდის რიკამდე გამატყავა ჩემმა ცოლ-შვილმაო.

ეს სცენაც გადავიდე, მარა ფილმში არ შემიტანია.

ყველაზე ხანგრძლივი და დასამახსოვრებელი ნადიმი როსტომ ერისთავის სასახლის აიგანზე გაიმართა.

აკაკიმ დიდებული სადლეგრძელობი და ლექსები თქვა. მოეფერა რაჭას. მე ვხედავ, აქ თქვენთან ყველაზე კარგადაა შენახული ქართული ადათ-წესებით.

რა იმდერა?

იმდერა „იმერული მრავალუამიერი“, „ჩემო ციცინათელა“, „გაბასოვს ტურფავ“, მშვენივრად აყვა „რაჭულ მრავალუამიერს“ და „ქვედრულა ადიდებულას“.

სუფრაზე კიდევ ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა:

ბიჭმა დოქით ღვინო შემოარბენინა.

მომიტანეო ეგ დოქი აქეთო, აკაკიმ.

მიუტანეს.

დოქითავდაცობილი იყო შავ-წითლად ნაწერი ქაღალდით.

გაშალა ქაღალდი პოეტმა.

ეს რა გიქნიათო, წარბები შეიკრა, ეს ქაღალდი უძველესი ხელნაწერი-დანაა ამოგლეჯილი, გემუდარებით დაბრუნეთ თავის ადგილზე და თუ მოახერხებთ, იქნებ ხვალ დილით მთლიანდ ხელნაწერი მომიტანოთ.

მასპინძლებმა სწრაფად წაიღეს ქაღალდის თუ ეტრატის ნახევი, მაგრამ დილით, მე როგორც ვიცი, ხელნაწერი არ მოუტანიათ.

ღამე როსტომ ერისთავის სასახლეში გავათიეთ.

შუალამე გადასულია.

მე ეზოში ვზივარ და მთვარის შუებზე ჩემს აპარატს ჩავიკიტებ.

აივანზე თეთრნიფხავპერანგისა-მარა აკაკი გადმოდგა.

- ახალგაზრდა!

მივირბინე, ვერ მიცნო.

- თუ არ გენყინება, შენს გაზრდას, იქნებ ერთი ბოთლი წყალი გამიხერხო, - შებრუნებულს დამანია,

- ეგება, მჟავე წყალი იქნეს სადმე, აგრემც ღმერთი შეგენევა.

გავვარდი, მოსამსახურე გავაღიძე, მჟავე წყალი იქვე, სასახლის ეზოში აღმოჩნდა. ჩვენო, რაჭელები ამ წყალს სასმელად არ ვიყენებთო, მოსამსახურემ - მჟავე წყალი მხოლოდ სამურნალოა.

ციმციმ ავურბინე დოქით მჟავე წყალი. რაც მე იმან მლოცა.

ბოლოს ონში გვქონდა ზღაპრული შეხვედრა.

პოეტის საპატივცემულოდ მასპინძლებმა დოლიც კი გამართეს.

იქოური ებრაელებიც გამოვიდნენ და პოეტს მოვერცხლილი ძვირფასი სურა მიართვეს, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

თქვენ ალბათ გაკვეთილებზე გაგვიანდებათ და, გითხრათ სიმართლე, მეც არ მცალია.

ონის ამბებიც დაწვრილებით გადავიდე.

უკან წამოსვლისას დაღლილ აკაკის თითქმის მთელი გზა ეძინა და დიდათ საინტერესო არაფერი მომხდარა.

* * *

რაჭაში მოგზაურობის ერთი თვის თავზე გავამზადე ფილმი, შენ ხარ ჩემი ბატონი, უნდა მივართვა გიგოლ დიასამიძეს და გადაწყვეტილი მაქვს ფული არ გამოვართვა.

თუმცა ვინ გაცალა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა.

კი არ დააკაუნეს, დაბრახუნეს. გავაღე.

შემოვიდნენ ორნი კივერ-ხმლინები საიდუმლო ჩახველებითა და ჩექმის დეზების რანკუნით.

პოლიციიდან ვართო.

მაგიდას შემოუსხდნენ.

დავთვრებიგამალეს, სანერ-მელანი მოიმარჯვეს. აბა, დაწვრილებით მოგვიყენი, რა საქმიანობას ეწევი, ვინ დაგავალა საიდუმლო გადაღებების წარმოება ქუთაისში და რაჭა-ლეჩხუმში. ჩვენ ყველაფერი ვიცით და არაფერი დაგვიმალოო.

შენ, პარიზში დავერბოვებული, ვითომდა აკაკი როსტომიჩის მოგზაურობის საპაპით რაჭის და

ქუთაისის საიდუმლო ობიექტებს იღებდიო. ჯერ ერთი, აკაკი წერელი რა პატივცემული გვამი იყო ისე-თი, რომ მის უკვდავსაყოფად ამხელა დელეგაცია გაემართა რაჭაში. თქვენ რა, არ იცოდით, რომ იგი ერთი ლაზლანდარა, ბანქოს მოთამაშე, ცინიკოსი, ხელისუფლების დაუძინებელი მტერი მოპოეტო ელემენტია და სხვა არაფერი.

ფეხებს მიბაკუნებენ და თითს მიქნევენ.

ჩემი ახსნა-გა



ნომადი ბართაია

მინიმის სამზერიდან

მუხრან მაჭავარიანი ამბობს ერთ ლექსში, ისე ვიზრდები, როგორც შორიდან მომავალი გემიო.

იგივე შეიძლება ითქვას ნომადი ბართაიას შემოქმედებაზე, რომელიც წლიდან წლამდე ძლიერდებოდა, ივსებოდა, იძენდა მრავალფეროვნებას. მკითხველი და დამფასებელიც ემატებოდა.

ნომადიმ უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, მე სწორედ იმ წელს ჩავირიცხე. ალბათ ამიტომ არ გვიწევდა ერთად ყოფნა მწერალთა წრეში.

ჩემი დეიდაშვილები ნომადის მეზობლები იყვნენ მარტვილში. მაგრამ მე იგი საკმაოდ გვიან გავიცანი - უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. მაშინაც თითქოს სერიოზულად არ ეკიდებოდა პოეზიას. მაგრამ პირველი წიგნი რომ გამოსცა, უცებ მიიქცია ყურადღება. მან თავის ლექსებში გააერთიანა ლირიზმი და კომიზმი, მოულოდნელობის ეფექტი და დრამატული განცდა, მახვილი დაკვირვება და მიამიტური ალქმა, განსჯა და საუბარი.

მისი შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიას ფენომენი. მანაც მძიმედ განიცადა საქართველოსა და პირველი პრეზიდენტის ტრაგედია, რაც ჩინებული სტრიქონებით გამოხატა. ეს წყნარი, ტაქტიანი, თავაზიანი კაცი საოცრად უკომიპრომის აღნდა მოძალადეთა მიმართ.

ნომადი ცნობილი პარტიული მუშაკის ოჯახში დაიბადა, მაგრამ ყოველთვის უცხოობდა სოციალისტურ პრობლემატიკას; სპარსული ლიტერატურის სპე-

ციალისტია, მაგრამ არ მინებდა აღმოსავლურ პათეტიკასა და ფერად სტილს; ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში არ ჰქონია თანამდებობა, მაგრამ დამარცხებულის მხარეს დადგა და ამის გამო სამსახურიც დატოვა.

იგი ყოველთვის ცხოვრობდა შემოქმედებითი და პატრიოტული ინტერესებით, წერდა ლექსებს, იუმორისტულ ეტიუდებს, აქვეყნებდა გამოკვლევებს, ნარკევებსა და ჩანახატებს ირანის კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაზე. მთავარი მაინც ლექსია და უნდა ვთქვათ, რომ მან ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად, თითქოს თამაშით შექმნა ორიგინალური პოეტური სამყარო, რომელიც მართლაც არავის არ ჰგავს და გვაგსებს ადამიანური განცდებით, სითბოთი და სიყვარულით.

ასეა დაწერილი ეს ლირიკული ჩანახატების წიგნიც, - ისევე როგორც კონსტანტინე გამსახურდიაზე დაწერილი საუკეთესო ლექსი, ამ დღეებში რომ კიდევ ერთხელ დიდად გახმაურდა.

აი, ორიოდე ნიმუში თუ როგორ ხედავს პოეტი ქვეყანას მინიმის სამზერიდან:

„თქვენ შემოდგომას ეგზომუხდებით

ღმერთმა ყოველთვის ასე მოგხედოთ,

მთლად შინდისფერში არგადასულო,

ჩემო ლამაზო თრიმლის ტოტებო“.

„სათქმელს ლექსში ვეღარ ვატევ“;

აშიაზე ვხატავ იებს.

მაგრამ იის სურნელებას ვინ დახატავს ბედნიერი,

ანდა შენი გამოხედვა ენით გამოითქმის განა?“

ახალ წარმატებებს ვუსურვებ ნომადი ბართაიას - პოეტ-მკვლევარს, პოეტ-ლექტორს, პოეტ-მოგზაურს, პოეტ-მამულიშვილს.

პროფესორი სოსო სიგუა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე სახელმწიფო პრემიის ლაურეატი



თემურ ჭახნაკია

ძალები

მე ვნახე სუსტი და მანანნალა, ბებერი ძალი იდგა მუხებთან, მშიერს და დაღლილს ჰყოფნიდა ძალა, და ახლოს მისულ სიკვდილს უყეფდა.

გალი

ჭოტი კიცილით ტყეს რომ იკლებდა, გოლეულს ჭამდა პატარა ბელი და მის ფეხებში გზას მიიკვლევდა, ჭიანჭველების მატარებელი.

კაცი

იჯდა კაცი, წინ ყარაჩი ბუხრის, ხის ჯორკოზე, ძვალმსხვილი და ჯმუხი, თუთუნს წევდა სპილოს ძვლის ჩიბუხით, ჩაჰყოლოდა ფიქრის ღრმა ჭაბურლილს.

გვიმგამტყდარ ჭასთან ანკესივით მდგარ ონინარის დახვრეტილ სათლში, სამი წელია ერთი შაშვი ბუდეს იკეთებს.

ის ცხვარი, რომლის დაცვის გამო მგლებმა გუშინ ძალი დაგლიჯეს, მწყემსებმა დაუფიქრებლად დაკლეს.

მიტაცებული სოფლის ტაძართან, უკვე წლებია სამრეკლოს ზარს ქარი რეკავს მხოლოდ და მხოლოდ.

ეჰ, იმ ფრთების შნო არაფერში არ გამოადგა კრუს შაშვს, რომელიც ბარტყებით ითვალისწინებოდა ენის გამოსახურის მიმართ.

სოფლის ერთ-ერთი სახლის ეზოში ჭა ჩაიშალა, ხმაზე კი იქვე მდგომი კაცილის ხმელი ტოტიდან კოდალები სადალაც გაფორინდნენ.

ბებერი ვაშლის ხე გამიხმა, რომლის კენეროდან ოცი წელია, აპრილ-ივლისში მესმოდა ხოლმე თბილი ქვეყნიდან დაბრუნებული ბულბულის სტკენა.

იქნებ კოდალა მხოლოდ საჭმელზე არ ფიქრობს მაშინ, ნამებარ ხეს რომ მერქანიდან მავნე მატლა აცლის.

ვინ იცის, იქნებ ხე ტოტის მოჭრას, ისე განიცდის, როგორც კაცი ხელის მოკვეთას...

ხე-კალედარი

ციხის საკნის მომცრო ფანჯრიდან მაღალი მსხლის ხე ჩანდა და პატიმარი ცხაურიდან აკვირდებოდა მისგაფოლვლას, ყყალბოლებას, გადაბარდნას. ხე იყო მისი კალენდარი, რომელზედაც წელინადის ოთხივე დრო იკითხებოდა...

მზე ჩავარდა ღრუბლის ნავში და ცამ წვიმა წამოროშა, შენი თმა კი გრილ ნიავში, ფრიალებდა, როგორც დროშა. სამყაროდან გარიყული, დებარ უცნებების ქოხთან, უბედობის ალიყური, გულზე უმნარესად მოგხვდა. შენამდე რომ სწორი გზა ჩანს, მას დრო ბევრჯერ გაამრუდებს. გული რადგან ჩემთან დაგრჩა, საეჭვოა, არ დაბრუნდე. მონატრების გრძნობამ ალბათ სიკვდილამდე უნდა გვტანჯოს. სული ცრემლის ნამში დალბა, სულს სულ როგორ ვუდარავო. მომწყურდება ტებილი კოცნა, ამ სტრიქონთა ადრესატის, რად წახვედი მაშინ, როცა ჩემ სულს დაუნათესავდი?!

ნაღვლიანი ვდგავარ სამოვართან. შენი ხმის მწყურია გაგონება, უცებ ქარიშხალი ამოვარდა, გრგვინავენ ღრუბელთა ვაგონები. მოდი და მუხლებზე დამიჯექი. ფოთლებს ეთხოვება ნეკერჩხალი, ელვებდანყვეტილმა ცამ იჭექა, ბუხაში ლვივიან ნაკვერჩხლები. თავს ვგრძნობ სამყაროდან გარიყულად, მენატრება შენთან ლაპარაკი. ზეცამ მთვარის ქუდი დაიხურა, მთებმა - წისლის თეთრი ფაფანაკი. სახეზე ლიმილი სულ გშენოდა, თვალები შენზე ფიქრში დამეხუჭა, და ამ ტკივილიან უშენობას, მხოლოდ შენი ხმა თუ გამიყუჩებს.

წვიმს... წვიმა არის პოეზია, წვიმის წვეტები კი რითმებია. უცებ დარდის ჯარი მომესია, გარეთ ბელურები, რით თბებიან... ცაზე ჩამქრალია კელაპტრები, ტბორის წვიმამ ეზო და გინდ ახოც, ისე უსაშველოდ მენატრები, თვალებს ვხუჭავ, რომ შენ დაგინახო. ძილში მხოლოდ შენზე სიზმრებია. ზღვისკენ გაერბოდით, შენ მიმასნარი, კედლის საათს ვუმზერ, ისრებიანს, დილა თენდება და წვიმაც არის...



ნათია გოლეთიანი

ლოცვა

წმინდა ხატებთან უამრავ საწოელს,
დავიჩირქებ და ავანთებ ლამპრად,
ხელის კანკალით, სულის ამბორით,
თვალთა მზის სხივით, წმინდად და
ლალად.
სალოცავებს ვთხოვ გამისპეტაკონ,
ცოდვით დაღვრილი ყოველი წვეთი.
უფლის დიდებით რომ დამანთლონ,
ლვთის მშობლის ხატუთან მრავალი წლები.
ვლოცულობ გულით, სიმშვიდეს ვპოვებ,
უკადაგებასთან სრულყოფილებით
და შეგუებულს ბედისწერასთან,
უფალო, მხსნელად შენ მეგულები.

ნოსტალგია აფხაზეთზე

დიოსკურია, პიტუინტი, ცხუმი, ჯიქეთი,
არგონავტები, ხომალდები, პონტო,
ფსოუმდე,
გაგრა, გაგრიფში, ხეივანი, ვაზის
ლერწამი,
ზღვა — მარგალიტი სიყვარულის
მთელი სამეფო.
მაგნოლიები, თოლიები, მღვიმე ათონის,
ტბის სიღურჯეში ჩაკირული ზურმუხტ
ლალები,
ზღვის სანაპირო მოხვეული, რიცის
კამკამი,
ბიჭვინთვის მთების დარწეული ოქროს
აკვანი.
მე შენს ცის კიდეს ვერ შევადარებ
ვერცერთ სამყაროს,
ულამაზესი სიყვარული გულში დარჩება,
ასწლეულებიც ვერ გააქრობებ ამ
სინატიფეს,
ციტრუსების და ზღვის სილურჯე
სითბოდ იღვერება.
ცად გაფრენილა თოლიების მთელი
ოჯახი,
ზღვის სანაპიროს მოსდებია თეთრი
ლერწამი,
მე შენს სიყვარულს ვამზეურებ მზის
დაისამდე,
პალმების ხეებს შესევია სევდის წექტარი.

ქალის საიდუმლო

ქალის წლები - საიდუმლო
ფარდამთვარის,
ლიმილები მზის მძივებად გაბრეული,
თმები — გზები ოცნებებში ჩამოშლილი,
თვალთა ფერში თაფლის საწოლის
ორეული.
ნაბიჯები — სიოს ნაზი მოფერება,
სავსე მკერდი — მარჯნისფერი
მარგალიტი,
გული გემი — ზღვის სიღრმეში
ჩაძირული,

ხელის გული — ბედის წერით
მოხატული.
წლები ქალის საიდუმლოდ დაფარული,
ვერცხლის ძაფი თმებში, როგორც
სამკაული.

აგრილებს სურო

ნეტა ივლისის მოვის პერანგი,
დაღლილ ნაბიჯებს აგრილებს სურო,
ტირიფის ბუმბულს სიტყვა უშრება,
აყრილ ფიჭვებში იარებს იქრობს.
ხელით წავშალეთ ნამზე სილურჯე,
მზემაც ხომ იცის წვიმათა ცრემლი,
ოქროს ყანებში ნივთა ჩვევას
ფრთხილით უჭირავს ყაყაჩის ფესვი.
ახლა სჯობს, განზე რომ მოადგება
ჩრდილთა გორომი სიცხის სიმწველეს,
ისევ ვპოულობთ, რაც არ გვითქვია,
წაბლო აყვავების დაგრეხილ შქერებს.
ჩაადნა ფიქრი ედელვაისებთ,
რად აწვალებდა ეჭვებით დარებს,
აღარ მაკვირვებს შენი მონდობა,
ფრთხილად მივყვები ზაფხულის
მთვარეს.

ხატი ღვთისა

ხატი ღვთისა გვიახლოვებს,
მწვერვალებზე გამოცხადდა,
მორნმუნეთა ერთობ ლოცვებს
გამჭოლ სივრცეს გადააკრავს.
გზად დათესავს შემდგარ სიბრძნეს,
ჩაეწება ფესვად მიწას,
ანგელოზი ქვეყნის ზეკაცს
ცად აწეულ კიბით იცავს.
ეპოქის არს შეუმღვრეველს,
მოყვასისთვის ჯვარი მზისა,
სიტყვით მსდევდი უამ მიტკალი
მოსაყდარე ცა და მიწა.
ზღვების ტალღებს ავაგლიჯე
ზმანებაზი ჯავრი წყლისა,
ასე ვაგეთ ეს საყდარი —
მოწყალება ხატი ღვთისა.

ყველაზერი კარგია

ყველაფერი კარგია
ის, რაც კარგად მთავრდება,
გვირილების ღიმილებს
ფერი არ ეკარგებათ.

გულში ურუანტელებად
ამოლტილან ვერხვები
და მათ მოსაფერებლად
ცის ლაჟვარდებს შევსცერი.

საგზლად ციცინათელებს,
თან რომ დააქვთ ფანრები
ტოტებში ანთებულებს
ჩემ მზერაში გავყვები.

ფეთქავს მადლიერებით
ჩემს სარკმელთან ჭადარი,
ბედნიერი ამბების
ჯადოსნური ზღაპარი.

ყველაფერი ძვირფასი
სათუთი და კარგია,
ის, რაც შენს თავს მაგონებს
ცის მნათობის მადლია.



ლეილა ბელქანია

მთერს აფხაზეთი ლაგრით მივართვით!

ახლა დავცექერი წიგნს, ყდაგაცრეცილს,
სტრიქონებს ომის კვალი ატყვია,
ყოველ პწკარიდან უონავს ცრემლები,
სისხლი წვეთავს და ჰგვანან ნატყვიარს.

ფურცლებზე, სადაც შავი ხაზები,
როგორც ტყვეები ისე წვებიან,
სულ მოგლეჯილი ჩუმი სიტყვები
ჩემს ბაგეებზე უხმოდ კვდებიან.

აქ მოვათავსე ყველას ტკივილი,
კელადტარივით ჩუმად რომ იწვის,
გავა დრო, მე არ ვიქნები, მაგრამ
ეს წიგნი სათქმელს ხმამალლა იტყვის.

იტყვის, თუ როგორ წაგვალიჯეს მიწა,
წინაპართაგან შემონახული,
მტერს აფხაზეთი ლანგრით მიგაროვით,
ხოლო დესერტად — სული ქართული.

სიზმარი

ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა,
ტანში მზარავდა ხმა თოლიების,
სანაპიროზე დაძრნოდა ქარი,
მდუმარედ იდგნენ მაგნოლიები.
ზეცას სერავდნენ მოხეტიალე
გზააბნეული შავი ღრუბლები,
ოცნების ტალღებს შევჭიდებოდი
და ცრემლის ნაკადს თვალთ ვიგუბებდი.
ცივად მიმზერდა ზღვის სანაპირო
და მოქუფრული იდგნენ ვერხვები,
ძნელი ყოფილა მშობლიურ მიწას
შორით უცქერ და რომ ვერ ეხები.
თავი ჩავქინდრე იბოლ ბავშვივით,
სევდა წვეთებად სულ მეღვრებოდა,
მოგონებები და ნოსტალგია
წლებს, ან გარდასულს, არ ნებდებოდა.
მთვარე ბჟუტავდა, როგორც საწოელი,
გულს მიკორტინდა ქარის ხავილი
ენგურს გამოლმა ვიდექი, როგორც
ველს შერჩენილი კენტი ყვავილი.

ვინც არ იცის აფხაზეთი,
არ სწვევია ზღვის ნაპირებს,
მან რა იცის ჩვენი ცრემლი,
რა გვიჭირს და რა გვატირებს.

ვისაც აღარ შეუგრძენია,
ზღვის ჰაერი, ან ზღვის სუნთქვა,
ვინც არ იცის მისი ფასი,
მინდა, ლექსად მაინც ვუთხრა.

რომ ჩვენ სულ სხვა ცა გვეხურა,
მიწაც გვეონდა სულ სხვაგვარი,
ჩვენთან სხვანაირად წვიმდა,
სხვანაირად ქროდა ქარი.

მზე გვაყრიდა მარგალიტებს,
ცას ეკიდა ვერცხლის მთვარე,
ზღვა მირნის წყლით ნაკურთხი,
ჯადოსნური გვექონდა ლამე.

და ასეთი საოცარი
აგვაცალა მტერმა მხარე,
სხვა კუთხე და სხვა ქვეყანა
მსგავსად ველარ შევიყვარე!

ჩამო დიოსკურია!

ზღვაო, გულს ჩამიკარი,
დარდი გაიზიარე,
შენს უზადო მშვენებას
ერთხელაც მაზიარე.

მოდი, მომიალერსე,
როგორც ადრე გრივეოდა,
შენი თბილი ტალღები,
ყელზე რომ მესვეოდა.

მზის სხივები ციმციმა
ზურმუხტფერად გეყარა,
სიყვარულის მორევში
ირწოდა ქვეყანა.

სად წავიდა, სად გაქრა,
ის ნეტარი წუთები,
სად დავკარგე ტალღები,
გულში ჩანახუტები

ზღვაო, შენი ალერსი
ო, რარიგად მწყურია,
ჩემო სულის ნაწილო,
ჩემო დიოსკურია.

ლამა

დამემ დაუშვა ფარდები,
მთვარე დაპირდა ჭალვიოთ,
ააციმციმა ცის გული
ედემის ტურფა ბალივით.

სულში ფიქრები შრიალებს
ალაზნის მწვანე ველივით,
გულში იმედი კეპლუცობს,
ყელმოლერებულ შველივით.

კალამს დავკავლე ხელი და
ჩავაკინები რითმები,
საწერს დღეს დაგწერ, თორემ ხვალ,
იქნებ, აღარც კი ვიქნები.

უნდა მოვასწრო ყოვლის თქმა,
რაც დამრჩენია უთქმელი
და მერე ცაში აუშვა,
სული უკვდავი, უხრწნელი.

სისხლიანი ნაპირი

მე ჩემი ლექსის ფერიც კი მიყვარს,
აზრები, ჩემი ღრმა ტკივილია,
ლექსში რომ მძიმედ ოხრავს პწკარები,
მიწის ძახილი და ყივილია...

ზაალ ნემსაძე

ღმართი ჩვენსაენაა,
ქართველებო!

იანვრის ბოლოს მეგობარია მწერალმა დამირეკა და სიტყვის თქმაც კი არ მაცალა, მკითხა: - ჩვენი რეზოს „ქრისტე“ წიაკითხე?

- წავიკითხე, ბატონო გივი, და ნიძლავს დაგიდებთ, თქვენზე ადრე ჯერ კიდევ წინა წელს.

(ბატონმა რევაზ მიშველაძემ ახალი რომანი თავის საიუბილეო კრებულში შეიტანა და როცა ერთი ეგზიმპლარი მისახსოვა, მისი კითხვა სწორედ ამ რომანიდან დავიწყე).

- მოგენონა? - მკითხა ოდნავ შეცბუნებულმა.

- ველოდი, - ვუპასუხე.

- რა ელოდი? მე რას გეკითხები და შენ რას მპასუხობ?

- ველოდი, რომ რაღაც დიდს დაწერდა, ბატონო გივი, სამი წლის წინათ ერთ ინტერვიუში ვუთხარი, გოთემ 80 წლის ასაკში „ფაუსტი“ დაწერა და დაწერებული ვარ, როცა ოთხმოცის გახდებით თქვენც შექმნით შედევრს-მეთქი.

- კაცო, უფრო გასაგებად მითხარი, - ჩამეძია.

- მოგზავნილი ხომ არ ხართ? შედევრია-მეთქი გეუბნებით!

- ბოლომდე წაიკითხე? - არ მეშვება.

- პირნმინდად!

- აბა, მიშველაძისეულ ათ მცნებასაც წაიკითხავდი შენ, - ირონია შეეპარა ხმაში.

- რა თქმა უნდა!

- „გიყვარდეს სამშობლო და იბრძოდე მისი თავისუფლებისთვის“, ხომ წერს?

- კი, წერს ეგ კალამკურთხეული.

- თუ ძმა ხარ, საიდან მოიტანა რეზომ ეგ მცნება, რომელ სახარებაში სწრია?

- გამომძახა გამარჯვებულის სახით.

- თუ მაცლი ორ წუთს, წაგიკითხავ, სად სწრია და როგორ, - დავცინე...

კომპიუტერში შესაბამისი ადგილი მოვძებნე და მობილურში ჩავდახე: - მისმენ?

- მიდი!

- კატეხიზმოს 47-ე თავი, „მეათე მცნება იკითხება ესრედ: არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვარისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვარისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა ბინისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვარისა შენისა“. აი, ეს სწრია მართლმადიდებლური კატეხიზმოს მეორე ნაწილის მეათე მცნებაში. ახლა გაიგეთ, ბატონო, საიდან „მოიტანა“ რეზო მიშველაძემ ეგ მცნება და სად სწრია?

- ვერაფერი გავიგე.

- კაცო, თუ გარიგებ, რომ არ ინდომო სხვისი სახლ-კარი, ადგილ-მამული, ხარი, ჯალაბი და საცხოვრისი და მიჯერებ, სხვამ რომ ინდომოს შენი

სახლ-კარი, ადგილ-მამული და ა. შ. ხომ დაამტვრევ თავ-ყბას და დაიცავ ყოველივე ამას?

- აბა, რას ვიზამ?

- ჰოდა, ეგ არის სამშობლო და ქვეყანა, ჩემო გივი. ამიტომ დაგვიწერა მწერალმა მეორე მცნებად ჩვენ, მეუთედი ნანილის ოკუპირებულ საქართველოს ეს მცნება დასაწყისში და ამიტომ გვითხრა ეს მაცხოვრის პირით!

- მე კი მეგონა, - დაიბნა გივი.

- რა გეგონა, გივი ბატონო, რეზო მიშველაძე ჩამორჩენილი კაცია და მკითხველებიც ჩამორჩენილები ჰყავს? არა, ძმაო, აი, რას ამბობს მაცხოვარი მის რომანში: „იცხოვრეთ ისე, რომ გრძნობდეთ მამაზეციერის სუნთქვას თქვენს გვერდით“. ანდა „ღმერთს ოდენ გასაჭირის დროს როდი უნდა მიმართო, მუდამდროს შენ უნდა იყო ღმერთან და ღმერთი შენთან იქნება“. (რევაზ მიშველაძე - 80 საიუბილეო კრებული. გვ.493-495).

- აგაშენა ღმერთმა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და რომანი ძალიან მომენტია. ასე მგონია, ქართველებისათვისაა დაწერილი, - მეუბნება გივი გამობარი ხმით.

- თუ ძმა ხარ, საუბარს რომ მოვრჩებით, გადაშალე „ქრისტე“ და „დედა“ წაიკითხე.

- წავიკითხე, ჩემო ზაალ, წავიკითხე იქსოს საუბარი ღვთისმშობელთან და ბავშვივით ვიტირე 75 წლის კაცმა. აბა, მომისმინე.

- და მაინც, შენზე ადრე მე წავალ ამ წუთისოფლიდან და შენ ამას უნდა შეეგუო.

- რასაც შენ ამბობ, ეგ ღვთის ნათქვა-მი არ არის, კაცის ნათქვამია.

- შენც ხომ იცი, რომ სანამ აქა ვარ, კაცი ვარ და სხვა არაფერი.

- ჰოდა, ღვთის კაცო, როგორ შეიძლება დედას უთხრა, შვილის სიკედილს შეეგუე. დედამინის ზურგზე ვერც ერთი დედა შვილის სიკედილს ვერასოდეს შეეგუება.

- მაგრამ ხომ ცოცხლობენ შვილმკვდარი დედები?

- თუ იმას სიცოცხლე ჰქვია.

- ჩემს წასელას სიკედილს ნუ დაარქევ, დედაჩემო, ის იქნება უბრალოდ გარდასვლა. მამაჩემი მიხმობს...“ (იქვე: გვ. 394).

- არც ეს სწრია სადმე ასე ზუსტად, ჩემო გივი, მაგრამ უცრემლოდ ვერც მე ვკითხულობ, - ვეუბნები, - ვინ ვინ და რეზო მიშველაძემ და ქალბატონმა ნათელამ (ნათელა გოგორიშვილი - რევაზ მიშველაძის მეუბლე) კარგად იციან, როგორ ცოცხლობენ შვილმკვდარი დედები და მამები. სამწუხაროდ, მე და ჩემმა მეუბლემაც ვიცით ეს. ჩვენც დავლიერ ეს მწარე სამსალა!

- ღმერთმა სასუფევლი დაუმკვიდროს თქვენს ვაჟკაცებს და საერთოდ ყველა გარდაცვლილს, - ამბობს გივი და დიდი შოთა ნიშნიანიძის ლექსის „შენს სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა (აჩიკო მიშველაძემ ეგ მცნება და სად სწრია?)“.

- 1973-1993)“ ერთ სტროფს მიკითხავს: „...არც აფხაზია შენი მკვლელი და არც ჩეჩენი, სიკედილს შენ თვითონ დაეგებდი

ჯიქურ, სარქენად, ეჭ, შენი მკვლელი, პირველ ყოვლის, მამაშენია - პაატას კვალზე ბავშვობიდან რომ შეგაყენა“.

ბატონ გივისთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემი უფროსი მეგობრის ამ რომანზე, რომლის კითხვის დროს, ჩვენი სასაულმოქმედი კათოლიკოს-პატრიარქის ერთი ქადაგება ჩამესმის ყურში:

„გიფიქრიათ იმის შესახებ, თუ რა არის კველაზე ძვირფასი საუნჯე ქვეყანაზე...“

ყველაზე ძვირფასი საუნჯე დედამინაზე არის ადამიანი! დაიმახსოვრეთ, ყველაზე ძვირფასი საუნჯე დედამინაზე არის ადამიანი!...

ჩვენ უნდა ვეძებოთ ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, რომელიც თავ-დადებული არიან სამშობლოსათვის. სამწუხაროდ კი გვახასიათებს ის, რომ: ჩვენ არ ვაფასებთ მათ, არ გვესმის როგორი დიდი საუნჯეა თითოეული მათგანი...

ქართველი ადამიანი ხშირად არ აფასებს ნიჭიერ პიროვნებებს, უფრო სწორედ, უარყოფს და თრგუნავს, ებრძვის მათ. ასეთი პროვნებები კი იმიტომ მოგვცა ღმერთმა, რომ ისინი ხალხს დაეხმარონ უფალთან მისვლისათვის.

გახსოვდეთ, რომ ადამიანის გარეშე დედამინა არაფერია, დედამინა მკვდარია...“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება (10.11.2019).

ბატონი რევაზ მიშველაძე სწორედ ღმერთისგან მოცემული ადამიანია, ღვთისმშობელი ნიჭით საეს, რომელიც ფურცლებზე გადმოღვენთილი ეხმარება ხალხს უფალთან მისვლისათვის.

21-ე საუკუნის დასაწყისში კლასიკოს-მწერალმა ერთმანეთზე უკეთესი ქმნილებანი აჩუქა კაცობრიობას: „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, „ციფვი ბორბალში ...მერე დაინერა, „ნამება“, რომელიც გენერალური რეპეტიცია იყო „ქრისტეს“ ნინ! უდანოში მოხეტიალე ბერთან ასული პროფესორი კაკაბაძე ამა სოფლის სიამეთ გაშორდა და მინიერ-სულიერი ვნებებით აღვალი საქართველოს ისტორიის ნარკევები დაუტოვა მშობელ ერს. რომან „ქრისტეს“ შექმნის ნინ ეს გახდათ მომზადება ახალი სარეკორდო ნახტომისათვის და... აპა, მივიღეთ ის, რისკენაც მიისწრაფოდა გენიოსი მწერალი - გვირგვინი მისი შემოქმედებისა - რომანი „ქრისტე“ (მესუთე სახარება). კი ბრძანა ამას ნინათ ბატონმა რეზომ,

ეს ჩემი უკანასკნელი რომანია, მაგრამ მჯერა, ახალი რომანი უკვე ჰქონდა ნიშნის შენებენ შინაურს და გარეულს, მოყვასს და მტერს, შეუძლებელია ამა შედეგი არ გამოიღოს. ჩვენ გამარჯვებისათვის ვართ განწირულნი! როცა ამას ვირწმუნებთ, გავიმარჯვებთ! ხომ გვახსოვს ს

მოციქულები შიშმა შეიძყრო...

- იესო რომ აქ იყოს, გადაგვარჩენდა.
- არ უნდა მოვშორებოდით!
- ახლა იესოც ვეღარ გადაგვარჩენს!
- განწირულები ვართ!

ტირილი, ლოცვა, სასოწარკვეთა, უილაჯოთა გნიასი ერთმანეთში არეულიყო.

ამ დროს ანდრიამ ტალღებზე მომავალი შენიშნა...

...ზღვაზე მოსიარულე აჩრდილი მოახლოვდა და ხუთიოდე მეტრის მომრებით გაჩერდა.

- ნუ გეშინიათ, მე ვარ, - თქვა მან.

- რაო!

- მოძღვარო!

- იესო, აქ საიდან გაჩნდი?

- ჩვენ უკვე იმედი აღარ გვქონდა.

- ხომ გასწავლეთ, სანამ ალსასრული დადგებოდეს, თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ თავისი გადასარჩენად. იმედს, იმედს უნდა ჩაებლაუჭოთ-მეტეი...

...იესო, შენ წყალზე დადიხარ?! - ჰკითხა პეტრემ...

- ჩვენ რატომ არ გვასწავლე?

- ამას სწავლება არ უშველის... უნდა დაიჯერო, რომ ზღვაზე გავლას შეძლებ (იქვე. გვ. 401-403).

დიახ, როცა დავიჯერებთ, რომ გამარჯვება შეგვიძლია, გავიმარჯვებთ! აი, ერის სულიერი მამა, როცა პუტინს მიმართავს და მოუწოდებს, დამთავდეს აფხაზეთის და ცხინვალის ოუპაცია, მას სჯერა ჩვენი გამარჯვების. როცა დიდი მწერალი მსოფლიოს გასაგონად მეორე მცნებასაც ათქმევინებს ყოველივეს შემოქმედს სამშობლოს სიყვარულს და მის დაცვას, მას სჯერა ჩვენი გამარჯვების და ერთიც და მეორეც, როცა ჩვენს გასაგონად აცხადებენ ამას, იმედი აქვთ ჩვენი და ღმერთის შენევნის. და როცა ვაცხადებთ, ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენც უნდა ვიყოთ ღმერთთან! რთულია ეს, მაგრამ უფალი ყოვლისშემძლეა, მან იონა ნინასწარმეტყველი ვეშაპის მუცელშიც არ მიატოვა და თავის მონაფებს როგორდა მიატოვებდა აღლვებულ ზღვში?

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება რომანში „ქრისტეს ქადაგება პასექის ნინა დღეს“, რომელშიც მოხვდა ის ათი მცნებაც, რომლის გამოც პატივცემულმა გივიმ დამირეკა. ეს არის ის თავი, რომელშიც შეზავებულია სულინმინდის მადლით შექმნილი სახარების და თანამედროვეობის უდიდესი მწერლის აღზევებული ნიჭის სინთეზი. ეს არის ცხოვრების ანი და ჰაე! ამ რეცეპტით უნდა იცხოვოს კაცობრიობამ. ეს ექვსი გვერდი არა თუ ყველა ქართველმა, არამედ სრულიად საქრისტიანომ, მთელმა კაცობრიობამ უნდა წაიკითხოს და აღარც ომი, აღარც შიმშილი და აღარც უბედურება აღარ იქნება აღარასოდეს (იქვე. გვ. 492-497).

ეს წიგნი ყველა თავისი თავის (სხვის თუ არა) პატივისმცემელმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს.

„ - ან და მარადის? არის რაიმე სამყაროში მარადიული, უფალო?

- მხოლოდ ღმერთი (იქვე. გვ. 557).

„ - ხომ არ იცით, ეს ლოდი ვინ გადააგორა ან ქრისტეს ცხედარი სად არის? - ჰკითხა პეტრემ გრანიტის ლოდზე მჯდომ თეთრმოსასაშიანს.

- თქვენ ვინ ხართ?

- ქრისტულები ვართ, - პეტრემ მარიამზე მიუთითა, - ეს მიცვალებულის დედაა.

უცნობი წამოდგა.

- ნუ ეძებთ ცოცხალს მკვდართა შორისს.

იგი მკვდრეთით აღსდგა და დღესვე გალილეაში გამოგეცხადებათ. წადით და ყველას აუწყეთ, რომ იხილონ ცოცხალი ნაზარეველი, სანამ იგი ღრუბლებს ზემოთ ამაღლდება და თავისი მამის მარჯვივი კუთვნილ ადგილს დაიკავებს (იქვე. გვ. 554).

მე კი, ერთი უბრალი მჯდაბნელი, მაგრამ არც თუ ცუდი მკითხველი, მოვუნიდებ ყველა ამ რომანის წამკითხველთ: ყველას აუწყეთ, რომ დაიბადა რევაზ მიშველაძის რომანი „ქრისტე“ (მეცუთე სახარება) და აუწყეთ ამის შესახებ თქვენს მეგობრებს და ახლობლებს, პირველ რიგში კი, წააკითხეთ იგი ოჯახის წევრებს. ეს ის რომანია, რომელსაც შეუძლია წიგნის დაუბრუნოს აუცილებელი საუნჯე - მკითხველი, რომლის გარეშეც ნებისმიერი შედევრი არარაობაა. ამის შესახებ დიდი მწერალი ამორიოდე წლის წინ მიუთითებდა: „საერთოდ ხელოვანისათვის და განსაკუთრებით მწერლისთვისუსაზიზღუნესი ეპოქაა ჩვენი ეპოქა. გაქრა, წავიდა, აღარ არის ის, ვისთვისაც ვწერდით - მისი უდიდებულესობა მკითხველი. ყიდვით ხომ არ ყიდულობს ჩვენი მოქალაქე წიგნს... საჩიქრადაც რომ მიართვა, როგორ ზღაპრის მინიჭებულებისათვის და დაპლირებისათვის და დამორჩინებისათვის კარგი ცხოვრებისგან არ არის, რომ არაერთი მწერალი ქუჩებში ექსკურსანტებს დაატარებს, ან ტენდენციურ ტელეარხებში „სიბრძნეებს“ აფრქვევს“. გაძლებას გისურებთ, ძვირფასებო, ამ სასტიკ, უმადურ დროში.

„მაგრად დექთ!

წიგნის დრო დაბრუნდება“. (რევაზ მიშველაძე, „მწერლის გაზეთი“, 6, 2018 წ. გვ. 2)

მე კი, ჩემის მხრივ დავამატებ, რომ თუ რეზო მიშველაძის „ქრისტეც“ ვერ დაუბრუნდებს მკითხველს წიგნებს, მაშინ დავით გურამიშვილის რეცეპტს უნდა მივმართოთ:

„თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვერდავ ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა, ბერს გამოცდილთ არა ვპკადრებ, მოგახსენებთ ახალ ყრმათა: თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა, წკეპლის ცემით დაშუშვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში წვათა“.

(დავით გურამიშვილი, „სწავლა მოსწავლეთა“)

ისე, ჩვენში დარჩეს და, წიგნთმოძულებებრისაც არ აწყენდა ერთი კაი იუნის წევბლა კანჭებში და ზურგზე! ან იქნება სახრე სჯობდეს ჰაა?



ნინიკო მშვიდობაძე

პარივის იავნანა

(შინდისის გმირებს)

მე ვერ გიმღერებ...

დიდი იხილანია, რაც ვეღარ ვმღერი...

წაგილილინებ აი, ამგვარად:

„ეს აკვანი ლებანოზის,

შიგა მწოლი ანგელოზი“

და დაგაჯერებ, რომ შენ

მართლა ანგელოზი ხარ...

და მამაშენი,

თავისი ხის სუნიანი ხელებით

ამ აკვანს რომ თლიდა,

სწორედ იმაზე ფიქრობდა,

მისი ბიჭი ანგელოზის

როგორ მიაგავდა

დიდი,

უძიროდ ლურჯი თვალებით...

მე კი,

საფენებში უხერხულად გახვეული

აკვანში რომ ჩაგანვინე,

არტახები ვერ შემოგვადრე...

რა ვაჟაცის საქმეა არტახები...

მე ვერ გიმღერებ...

შემიძლია წაგილილინო:

„ეს აკვანი ბჟოლისათვის,

შიგა მწოლი ბროლისათვის“

და მოგიყვე,

როგორ თლიდა მამაშენი

ბჟოლისგან აკვანს...

როგორ ეფერებოდა და დაპლილინებდა

თან;

მოგიყვე როგორ ელიმებოდა, როცა

ჩუქურთმები გამოჰყავდა...

არ დაიჯერო, რომ დედებს

სიმღერა შეუძლიათ...

მე ვერ გიმღერებ,

დიდი იხილანია,

რაც სიმღერას გადავეჩივი...

მე მხოლოდ ვილინონ შემიძლია

აი, ამგვარად:

„ეს აკვანი ხარატული,

შიგა მწოლი ჩახატული...“

და გამამდო ამბავი მამაშენზე,

როგორსაც თავისი დაკოურსილი ხელებით

რუდუნებით გამოჰყავდა ყველა



ზაალ ებანოიძე

ფრავხეთის კიბე
(ორმოცდათი საფეხური)

1. მთვარეს თარგმნი თუთარჩელად
(ესეც არის შენი წება);
ვარსკვლავები უკან რჩება,
სამყაროს რო ეღიმება.

2. მზემ თავი გაიჯვარედინა
და გული ველარ ჩააყუჩე:
„მეტი არაფერი არ მეტყინა,
შენ ამ გამოცანას გადაურჩე“.

3. უხორცო. უგრძნობელი. ქვითკირი.
რო გძინავს — ის ყურთან არის ახლოს;
მართლა რო ეშინოდეს სიკვდილის —
კაცი როგორ უნდა დაიძრახოს.

4. ფრი-ფრი, ჭიამარია, —
ვერ იფერებს მოწყენას.
— ხვალ ხო კაი დარია
კითხავ და... გემოწმება.

5. „სვეტითა ღრუბლისაითა“,
„სვეტითა ცეცხლისაითა“,
მოდიხარ ან და საიდან?!
მიდიხარ ან და საითა?!

6. ღრუბლები თანდათან
ფარსაგად დაგიდიან:
მზე გინდა?! — არა და
პირუამი ამინდია!

7. დაფ-სალამური და ბუკის ხმა
და ექო გამადა და გამომადა,
ამაზე უფრო ღრმად, ნუ მკითხავ —
ძნელია ბოლომდე გამოთქმა.

8. უკანასკნელ დღეთა
ულიმლამო ნატამალი;
ვხედავ, მართლა ვხედავ —
არ — ნუგეში, არ — ნამალი.

9. „შეავსე!“... „დალიე!“... „ნუ დალევ!“...
„არ მითხა!“... „ბოლომდე დაცალე!“...
ნელ-თბილი სიკვდილის სუფრაზე,
ვინ არის, ზეიმს რო გვაძალებს.

10. ფერდი ფერდს მიეკონება,
დანამულ ბილიკს მივყვები
და ართობს გულს და გონებას
მოლზე შეფეხი — ჩიტები.

11. „სიყვარული ლოცვაში ვარჯიშია
და ლოცვა — ვარჯიშია დუმილში“ —
ეს ეგზიუპერის „კლავიშია“,
რო გვაძმაურო — ნუ მიშლი.

12. მთვარის ნაზი ჯადოთი,
სძინავს ახლა გარემოს.
ვჯავრობ — მაინც რატო თქვი —
„შენს თავს მოუარეო“.

13. შუქს დაემგზავრა მზერა,
თუ მზერას — თავად შუქი.
მე შენი მართლა მჯერა
და ვწუხვარ — სხვებს რო უკვირთ.

14. ქალწულის ხელში — რტო ნაზი,
ხმალზეც უფრორე ნალესი:
ფუნჯის სულ მჩატე მონასმით
სურათს გადაზრდი ხვალეში.

15. ცაში დაიბინადრებ
როცა ნაოცნებარით,
აუღერებას ინატრებ
ჩონგურის და ებანის.

16. გადასასვლელი. მწვანე შუქია.
უნდა იჩქარო, თორემ რა იცი...
ხალთიდან შუბი ამოუყვაი
შიშს და წინდანინ კანკალს განიცდი.

17. თიბათვის ჰიმნია ასეთი,
ჟამია ლხინის და გლოვის:
„არა მე“ — „ნამდვილად დავსველდი“,
„მე“ ამბობს — „მესიზმრა, მგონი“.

18. ომი ომია — ყველგან არსებობს,
ყველა თანატოლ სივრცეს მოიცავს:
საკმარისია, ჩუმად ახსენო
და გულმა შიშის ფრთა გამოისხას.

19. მაინც რა დამესიზმრა —
გამხელა რომ არ მინდა:
ვიღუპები ლექსისგან —
ჩემი სულის თარგისგან.

20. ლამე — შავი მოსასხამი,
მხრებით უნდა ატარო და...
ჭალებს ყანის მოსავს ხამი —
თვალდათვალ რო ატაროვდა.

21. ათასი თვალი გიმზერს —
ტანში მზარავს და მთენთავს:
როდის შედგები ქიმზე,
როდის დატოვებ შენს თავს.

22. ანიც უნდა იარო,
მხოლოდ ამ დღის გემოთი
და აზრს ჩაეზიარო,
სამდურავით შემოთვლილს.

23. ანამნამებს მოლზე ჩრდილებს
ტყე და ამბობს — „ბინდი ვარ“,
ვგრძნობ, მოვეჭარბ-მოვეხშირე
სამყაროს და... მივდივარ!

24. ძირს — ტბორები და ისლი
და ისლთან ერთად — ხავსი...
მალლა — ზენარი ნისლის,
წყალ-სურნელებით სავსე.

25. სოფელი ჰქვია. არ კმარა მხოლოდ,
მარტო სოფელი ჰქვიოდეს — ხედები;
დაყვება ნიავს მდინარის სოლო
და იდუმალი დაყვება ხმები.

26. მამლის ყივილზე დამფრთხალი
აჩრდილებული დავრჩით;
მითხარ ერთი მართალი —
რამ შეგვაშინა მაშინ.

27. გასულფონების ჟამი
გამცნო გუგულმა ტყიდან,
არ გეპატია მაინც
ორი სამყაროს ზიდვა.

28. სენია მელანქოლია,
მინავლებული მზერით
და გვენის, — შენ რა გვონია —
ზოგჯერ ნამდვილად გშვენის.

29. სულს გაყიდი სიჭაბუკის ფასად? —
ურიგდები სიბერეს და ხვენეში;
ნაბიჯ-ნაბიჯ ემალები ასაკს,
ამნაირი გაორების ხელში.

30. ღმერთს — გუნდრუკი! კაცს — მური
და სურნელი!
მეფეს — ოქრო! — უამური ტვირთი.
და სამყარო, დღემდე განუკურნელი —
ტანში — სიცხე, შუბლზე — ცივი ხვითქი.

31. თანდათან ყრუვდება მუსიკის სიმი,
ღრმავდება ღამე და ტბორდება თვალში,
ჩემზეც შეუფარებია თავი და ტირის,
ერთი პატარა და მორცხვი ბაგშვი.

32. იმსხვერევა, იმსხვრევა
წილიც და მენილეც,
თავს ვუმხელ — „ის მე ვარ,
ამ დღეს რომ შენირეს“.

33. ფეხებზე დოლაბებს იშორებ
და თანდათანობით მჩატდები:
სიშორე, სივრცე და სიშორე.
სიშორე, სამყაროს დამტევი.

34. დროდადრო — ფარული პაუზა
და ჩურჩულს ადევნებული ქოშინი,
ქაფდება, ასეთ დროს აუზი,
ქაფდება ტანგრძელი ორშიმით.

35. თავზე გაყრის ვარსკვლავებს,
ხან ცხელი და ხან ცივი,
ცა და ჩუმად კანკალე
უპატრონო ბავშვივით.

36. პირ-სახის სათნო ღიმილიდან
ტუჩების იერიში გამოკრთა;
რა მოხდა ამის მერე, იგი მინდა,
ვიცოდე, ამის მერე რა მოხდა?

37. ქვრივობის რამე ელფერი —
მარტოსულობის სამოსი:
შეგფერის, მართლა შეგფერის
ასე დაღლილს და დაოსილს.

38. ზის და აბნევს მდუღარებას,
ე. ი. ტირის,
ციხეს მოჰვაგს მწუხარებით —
არ ესხება კბილი.

39. წუთიწუთზე ღამდება,
წვეთიწვეთზე იცსება,
რა იოლად მუღავნდება
ფსევდო გაგულისება.

40. რა სიზმარმა უყელა,
საზიარო ცხოვრებას:
ბიჭობაში ლუგელას
ვსამდით — გემახსოვრება.

41. მოსაწყენი — სიუჟეტი,
კილოკავი — ბებრული,
მოქმედება? — ეჭ, ნუ მეტყვი —
ბამბის ძაფით შეკრული.

42. უჩინარი ღალდების
ხმაში მელანქოლია,
შორს — ფშანები, ტალდების
ინახავენ ფორიაქს.

43. ტყუილს როგორ შეიძლებს,
ვინც სიმართლე არ იცას,
დაიხსომე დღეისდღე
და თან — რასაც განიცდი.

44. ზღვარზე თამაში... მალლა ღმერთია,
ძირს კაცია და ჯილდო მოკვდავთა;
იმედი ძილშიც რო წაერთმათ,
ცხადში აქამდე მოთქმა მომკლავდა.

45. ათასში ერთხელ რო მეზმანება
წამი ნეტარი — შემკული ყოვლად,
სწორედ ამიტომ მიღირს წამებად,
თავის კა არა — ამ წამის მოვლა.

46. შიშს, შემორჩენილს ზღლპრიდან,
ბოლომდე რომ ვერ დავშორდით,
ეს ნიშნავს — გვინდა, არ გვინდა —
შიშისგანა ვართ ნაშობნი.

47. თვალები მოითხოვენ სივრცეს,
სხივიც გადატყდება — ეს არის;
ღელის შეტირებას ისმენ,
მელოგინესავით მკვნესარის.

48. მეამბოხეთა ღრუბლიან ტევრს
ხანდახან მცირეს წავარომევ ჩეროს,
თუ ყურს ვუხედნი ამ ლექსით ბევრს
და ამის გამო ზოგადად ვმსჯელობ.

49. ჩემს არყოფნაში ვიდგე,
ყოფნას ვნატრობდე ჩემსას,
ვიდრე, ვიდრე და ვიდრე
ბოლო სამსალას შევსვამ.

50. წასვლას აპირებს ხალხის ყაყანში,
დასაბამიდან მცირე წილი აქვს,
სიზმარში მინდვრის ეტრატს გადაშლის,
რომ ცხადშიწუთოგვაზარის ცისლოლას.

51. სიკვდილი — თავშესაფარი,
სიცოცხლე — ჟამი მშთოთვარე:
ყოფნა-არყოფნის ზღლაპარით
შეჯამებული ორთავე.

რეზო ადამია

შავების დიდი მცირებელი

კონსტანტინე გამსახურდია, უძ-
ველესი კოლხურ-იბერიული ხასი-
ათ-ჟინ-შემართების და სრულყოფილი,
სიმართლის ნებისმიერი დროის მწერ-
ალთაგან, ბევრად განსხვავებული ნიჭით
— უფლისმიერობაა და მისტიკურ-მი-
თოლოგიური უტეხი მცნების, უსაზ-
ღვროდ შეუვალი ნალდექართველური
ზეობრივი გენის ჭეშმარიტი წმიდანური
გადრძელებაა...

გავა ჩვენი უბერებელი პლანეტის
ათასეული წელი და ამჟამად მოქმედ აღმ-
სარებლობებს კოსმიური უფლისმიერობით
ჩაენაცვლება ზეკანონებიდან გამომდინ-
არე, დროის სთვის მონათესავე რელიგიები,
რომლებიც სიახლე ცივილიზაციათა და
ვარსკვლავეთის ურთიერთგადალენით მი-
ახლოებითი რჩმენითი სახე იქნება; ხოლო
განუმეორებელი ხელოვანნი: შოთა რუსთ-
ველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი,
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ
რობაქიძე, კონსტანტინე გამასახურდია, რო-
მელიც უმაღლესთა შორის გენიის სრულყ-
ოფილებაა; გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი
გრანელი და სხვა რამოდენიმეთ უნიკალუ-
რი ქმნილებანი, ჰომეროსისა არ იყოს, მა-
რადიულობას გადაბარდება, რადგან უს-
ასრულობის ფერ-ხმა, აზროვნუკვდავების
განმვრცობნი არიან და იქნებიან...

ადამიანში თუ რამე ამაღლებული და
დიადია, სულ-გონ-გულ-ნიჭიდან დაწ-
ყებული, მაშინ პრეცენტი იტყვიან, შემო-
ქმედ უფალია მასში დავანებულიო...

გენის მაღალი შემოქმედებითი აზ-როვნება, ჭეშმარიტ-ზნეობრივი მიახლოებაა მომავლის წმიდად-უმდიდრეს უსასრულობასთან, როთაც ქვეყნიური მთლიანობის ტოლფარდობაა...

იმდენად ღრმაა, მხატვრულ-ზეადამი-
ანურია დიდი კონსტანტინეს გენიალური
რომანები, მოთხრობები და ნოველები, მარ-
თალი წარმოდგენა გებადებათ, რომ მათი
ეპოქალური კუთვნილებითი ცნება ქრება
და მარადიულ-კაცობრიული სულისმიერო-
ბით მსოფლიო ფორმად დგინდება...

შემცირებითი მცდელობებით, უშუალო განცდებით, აზროვნებით და სულით რომ მიხვიდე გამორჩეული მწერლის შემოქმედებითი უფლებამოსილებამდე, მაგ შემთხვევაში, მიახლოებით მაინც ავტორის დონისა უნდა ბრძანდებოდეთ, მეცნიერული ინტუიციის შეგნებით, სამართლიანი ანალიზების აღქმით, აუცილებელი წარმოსახვებით თუ აზროვნებითი სიღრმეების სიმდიდრე იდუმ-ალ ინსტინქტით გამოხატვისა...

როგორც ხელოვნების მუზეუმებში, საკინოგველ დარბაზ-განძთსაცავში შეღწევა სულიერი ბედნიერებაა, ასევე ბატონი კონსტანტინეს ცხოვრების ყოველი ისტორიული მოვლენებისხილვა-წაკითხვა... ერთგან კონსტანტინე ბრძანებს: ჩვენ, გამსახურდიები, აზნაურები გახლავართო!. ამ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებულია მწერალი, რადგან ნებისმიერი გენიალური ხელოვანი თავადზე მეტი გახლავთ და საეკლესიო პირებზეც ფრიად ზეალმატებული, რადგან შემოქმედი ღმერთია მასში მოავარმოქმეთ-თავანაბული...

სამხატვრო აკადემიას, ფერწერის ფაკულტეტის სრულ კურსს ვამთავრებ,
სამხატვრო აკადემიას, ფერწერის ფაკულტეტის სრულ კურსს ვამთავრებ,

მალე პროფესიონალი მხატვარი გავხდები
მაგრამ ჩემი სულიერი სწრაფვა, შექმნა მხე-
ატვრული დამოუკიდებელი ნაწარმოების
სა, დიდი ხანია რომ გაიღვია, ფერწერი
მოციქულთ, გამოჩენილი მხატვრებისა არ
იყოს... თითქმის რამდენიმე წელია, ნათელ-
მიზნად დავისახე ლეგენდარული მწერ-
ლის, კონსტანტინე გამსახურდიას საცხ-
ოვრებელ-შემოქმედებითი კერა, კოლხუ-
რი კოშკი რომ დავხატო, მისივე შიგნით-
ეზოდან დანახული, მაგრამ იქ შელნევა
ძალიან რთულიაო, იტყვოდნენ. ხშირად კა-
მიფიქრია — მხატვრისთვისაც?!

შემოდგომის მზით გასხვილოს ნებულუ
კვირა დღეა. დილიდანვე მოვეგმზადე. დაახ
ლოებით თემას, მოტივს როგორც მიესად
აგება, იმდაგვარი სასურათე ფორმატი
ავირჩიე. „ეტიუდნიკი“ მზარზე გადავიკიდ
და ქათქათა, თეთრი სახატავი ტილოთ
ხელში, გავემართე ურთულესი ამოცანი
შესასრულებლად. დღეს ქარი არცერთ
მხრიდან არ ქრის და ედემის ბალში მგონია
თავი, წყნარი ამინდია, მზიანი, საამო ნატ
ვრას მოყოლილი...

მე, როგორც სენაკელ-ძევლესენაკელს
პლენერზე მუშაობისას ძვალსა და რბილშე¹
გამჯდარი მაქეს შიწნარევი ფიქრები აღმო
სავლეთის უძლიერესი, სულის შემძვრელ
ქარისა...

სხეულითა და სულ-გულ-გონებით
გარინდული ვდგავარ კოლეური კოშკი
ზღაპრისმიერ კარიბჭესთან და ვერ
გადამიწყვეტია გვერდით ბოძზე, ელევ
ქტროზარის ლილაცხე თითის დაჭრა; ვით
იცის, როგორ პასუხს მივიღებ-მეთქი-ლ
სიფრთხილით. ამ დროს მარცხენა მხარე
მეზობლის რკინის კარი მოულოდნელად
გაიღო და დიასახლისის საცრით ხელში
მსახიობი თათია ხაინდრავა გამობრძანდა
ბატონი კონსტანტინეს დისტვილი. პირა
დად დიდი ხანია, ვიცნობდი, რუსთაველი
დრამატული თეატრის შესანიშნავმა მსახ
იობმა, ზეინაბ ბოცვაძემ, ქართული კონი
ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ხელოვანთ
შემოქმედებითი საღამოს შეხვედრაზე
გამაცნო; სუფრასთანაც ვმსხდარვარია
ერთად და სათხოო თათიას სადლეგრძელო
რომ წარმოვთქვი, თხრობითი ტექსტი
თუ ლექსის კითხვისას თვითმყოფადი ხმა
მომნუსხველი ინტონაცია თავისი შერ

გამიმართლა. ამასობაში ეზოს კანონი
იერი ბინადარი პირუტყვი, ულამაზეს
შველი, ყავისფერ-თეთრებში განყობი
ლი, კოხტად მოხატული დრუნჩით, აც
ქვეტილ-ნაწვეტებული ჩამუქებულ
ყურებით, ნუშისფერი, კეთილი რბილებედ
ვითით თვალებით, რითაც მთელი მისიარსე
ბა იმზირებოდა, სასიამოვნო სიზმარივით
გამომეცხადა და ჩემსკენ ნამოცუნცულ
და უწვრილესი ფეხ-შავი-შუა გაყოფილ
კოხტა ჩლიქებით, წიიპ-წიიპის უნაზეს
ხმის გამოცემით და მშვიდი სიფრთხილ
ით მომიახლოვდა, კეთილი სულივით
წინ დამიდგა და ღვთისნიერი ნდობის
მიყურებს. სურვილით გვერდზეც გაი
სეირნებს. თან ვფანტაზიორობ: ბატონ
კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმ
ალ განძმენდილი სივრცე დაჟვება ა
ბრნაბის სიმითრე არსაბას-მეთქმა...

ნმიდა ხატთან სულ-გულით ლოცვი
სას, ნეტარ სიამოვნებას რომ გრძნობა
არანაკლებითია, გენიალური ნაწარმოვ
ბიდან სიახლე აზრთ, წერის სტილით და
ანდამატური მიუწვდომელგემოვნებით
სიამოვნების ნეტარ-სულთ მკვებავი შე
მოსვლა: ორთავე ქმედება ხომ მკურნ
ნალ-შვებაა ადამიანის წმიდად მკვიდ
რი ღვთიური უხილაობისა. ამდაგვარად
ვფიქრობ-ვოცნებობ და ვხატავ ჩვეულე
ბრივ, როგორც ყოველთვის. ამასობაში
დრო გადის სანუკვარი, გარემოსთან შე
დარებით დაძაბული. გარკვევით ვამჩი
ნევ, კოშკზე მიდგმულ გემივით სახლშე
ფანჯრებს შიგნით, ადამიანთა ლანდები
მოძრაობენ. სხვადასხვა ხეხილით გაშენ
ებულ ეზოში საოცარი, მონასტრისეულ
სიწყნარე და სამშვიდეა. მხოლოდ დამოუკ
კიდებელი ნაფერები შველი მოძრაობს
ზოგან მწვანე, ნორჩ ბალახს ნინკისი
ეზოში ნელი ნიავიც არ ქრის, თითქოსდ
ეკლესიის საკურთხევლის სუნიც სუფე
ვს ყველგან. ცაზე გუნდებად ბეღურები
მხიარული გადაფრენაა და ალვის ხეებ
მარდად გადაულიან. კოშკის ვეებერ
თელა ჭადრების ჩრდილო გარემოში კა
თეთრი, ცისფერი მტრედები ლალად და
ფარფატობენ. ტილოზე შეუჩერებლი
ფუნჯ-ფერებით ვწერ და ფიქრები ისე
მეახლა, რომელთა შეჩერება ჩემთვი
შეცდომა იქნებოდა.

ქართული ეროვნული აზროვნები
მოვლენა, იდუმალ შემოქმედი, ბატონ
კონსტანტინე, დაწრიტა და დალია თავ
ის მიერვე ხატულმა უძლიერესმა ნანარ
მოებებმა, ინდივიდუ-თვითმყოფადმა ეპო
ქალურმა მძაფრხასიათიანმა გმირებმ
და შეენირა კიდევაც განუყრელ ღვიძლ
პირმშოებს. ვუმაღლოდეთ უფალს, მათმ
სიდიადე და უზომო მაღალმხატვრულმ
ემოციებმა მასესტრო ჭუუდან რომ არ შექმ
ალეს. მაგრამ უფსკერო, წარმოსახვები
მისტიკოს-მშფოთვარე მოვლენა შემოქ
მედი, შინაგან-გარეგანი ნერვებტოკვით
ხასიათით თანამედროვე მჩერალთაგა
მკვეთრად განსხვავდებოდა, ხშირად უც
ნაურ ხასიათსაც ამჟღავნებდა, რომელიც
უზარმაზარი ნიჭ-ბუნების რხევისმიერო
ბა აახლოდათ...

ოდითგანვე, დედამიწის რელიგია
სვლათა კვალი, ოქროს გუთნის ხნულიყიდ
გავლებული იყო მწერლის სულ-გონქებით
აზროვნებაში, რათა, ნინასარმეტყველ
მოგვივით, ყველა მათგანი სწამდა და ცამ
დე მართალი იყო: პლანეტის უმთავრეს
აღმსარებლობებიც რომ ეწამა, არც გა
მიკვირდებოდა, რადგან ნებისმიერი მათ
განი უზენაეს კოსმოს-უფლის პირმშო
ოა ყოვლივი ამოავარი წრმანიომართ

თაღლი ვარსკვლავითობაა: დიდმა მოაზ-
როვნე მწერალმა თუ ძალიან გაგვასწრო,
რა მისი ბრალია; ამ შემთხვევაში მხოლოდ
ჩვენი უსუსურობაა, ფხვიერ მიწაში თამაშ
ძრომიალობისა...

ლიტერატურული თხრობა, ძერწვით
წერას, შინაგანი გემოვნებით, დამყოლ გა-
მორჩეული ენა-სინთეზ-მდიდრული სიძ-
ველე განახლებით ფესვებიან; გონა-აზრთ,
მომნუსხველ სტილს; მოქმედებათა აღნ-
ერის, ჭეშმარიტ სიმართლე მოგონებების
და ზღვა გამოცდილების, მეცნიერული
უზუსტესი დაკვირვებების გენისმიერი
ნარმოსახვების ნიჭს ფლობდა; მათივე,
ზეციურ-ნამებული ხელოვანი... ნანარ-
მოების მოქმედებათა წერისას, ფაბუ-
ლათა სიმდიდრე, ურთიერთშედარებათა
და ცოცხალთ ლეგენდად გარდასახვის
უებარი ოსტატი გახლდათ. ზომა, ლიტ-
ერატურული ხმა-ხედვით, უცნაური შინა-
განი სმენით, გამოიჩინდა უპირველესი
რომანები, მოთხოვნები თუ ნოველები;
ჩანაფიქრის, სიღრმისეულ მრავალ რელი-
გიური აზროვნების ლაკონიურ-ჰარმონი-
ულობა, მოულოდნელ ფერთა კოლორიტ
გამაზე საკირველ გაედინება, რითაც
ქმნილებათ, გენიალური კლასიკოსი თუ
თანამედროვე მოდერნისტული უდიდე-
სი ფერმწერლების დონეზე ავითარებდა
და ყველგან ტიციანისეულ-ფერადოვან
სულ-ხორცს ასხამდა: უფრო მეტყველი
გამოხატვისთვის მათაც ჩამოვთვლით.
პაბლო პიკასო, ამედეო მოდილანი,
ანრი მატისი, ალორძინების ხანის სან-
დრო ბოტიჩელისეული, რეფორმატორე-
ბი, ხუან მირო, უორე ბარაკი, და ვასილი
კანდინსკისაც გახსენებს. ამავე დროს,
„ბედნიერ-ტანჯული“ მწერლის ნები-
სმიერი ნანარმოები, ქართული უნიკალუ-
რი ხუროთმოძღვრების და მათში ბინადარ
შედევრ ფრესკების ჩაუქრობელი ეკლე-
სიური სხივებითაა მოფერთფენილი. ნუ
გაგიკვირდებათ და ლეგენდა მაესტროს,
ლიტერატურული-ისტორიული გმირე-
ბის გალერეაში რომ შეიხედავთ, უსათუ-
ოდ შემეცნებისთვის უდიდესი მხატვარი,
იერონიმ ბოსხიც; ბევრ რამეშიც დაგეხ-
მარებათ. შეიძლება ლეონარდო და ვინჩის,
ფსიქო-ტონალური, უფაქიზეს ფიქრთა ნი-
უანსური სიღრმებიც აღმოაჩინოთ...

ეგვიპტური საოცრება სფინქსივთ, წინმსწრაფი მზერის, ნარსულის, ანძყოს თუ მომავლის ათასწლეულთა სინთეზური ხედვის სტილ-ხატვაა, ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისა, და ფონად, ღვთიური საკრავ ორდანოს ქართული კლასიკური მუსიკა რომ გასდევს. ბოლოს ვიტყვი თამამად, თავდადებული მამულიშვილობა და ჯანსაღი სისხლსავსეობა, უვნებელი პატრიოტიზმი; უთუოდ თანაბარია, დიდი ქართველი გამორჩეულ ბაგრატოვანთა მეფებისა და თავადვე პატრონ ჭყონდიდელია შევაბისხლობრცო ის აზრი, რომ თემის აღნერისას, ქვეყნიერების საოცრებათ, იმიტომ ვიახლოვებ, რათა ზედმინევნით მნამს, კველა კლასიკურ შედევრში სამყაროს უფლის წმიდა ხატია მარტინისთვა.

საინტერესო და აზრიანი ფიქრებიდან,
ისევ სურათზე შექმნილმა ფერწერულმა
სირთულეებმა გამომიყავანა და ვხედავ,
სასახლის აღმოსავლეთით ჩემს მხარეს.
საფრანგეთის ასაკოვანი, მეფის კარდი-
ნალივით, კონსტანტინე ბატონი, მოუ-
ლოდნელად წელი ნაბიჯით გამობრძანდა,
სუსტი საშუალო ხმელი ტანალნაგობის,
აკრიალი ბულო გაისარი. დაპონტორი ხა-

ლათით და თავზე კოხტად მოხურული, შავი კახური ქუდით; თითქმის უძრავი, კოლხური უძველესი, ჩაუამული თეთრას-ფერი სახით. დინჯად და დაკვირვებით მიყურებს, უმალ ხატვა შევწყვიტე და გაოგნებული ვდგავარ, გულმკერდზე მარჯვენა ხელმიდებულმა, წელში მოხრით, ძველოდიშურად უხმოდ მივესალმე — მორიდებით. რა გვარისა ხარ, ყმაწვილო! თითქმის დაჭიმული ხმით დამიძახა. ადამია გახლავართ, ბატონო! მივუგე. გასაგებია! წარმოთქვა და კოშკის ჩრდილოეთის დიდი კარიდან სახლში მოციქულივით შებრძანდა. ვგრძნობ, რომ აუცილებელია

ბაანი. მე ტიპაანი ვირჩიე, უწეუმრად გავხ-
სენი და დავისხი ბროლის თხელ ჭიქაში.
თვითონ შეუდარებელი კლასიკოსი მაე-
სტრო, მაღალ ანტიკვარულ მაკაგონის
ხის ფიგურებიან-ორნამენტით შემკულ
სკამზე იჯდა. გვერდით, იატაკზე, თუთი-
ის თუნუქის ფართო და ღრმა ჭურჭელია
ედგა მცირედი წყლით. ნერწყვდენით დაა-
ვადებული, ქვედა ყბის ხშირი მოძრაობის
შემდეგ, ყელის ამონბმენდითაც გადაანერ-
წყვებდა. მრავალი შედევრის ავტორი,
უზომოდ ნაშრომ-ნაჯაფარი, არ გახლდათ
ჯანმრთელად, ყოველ მოძრაობაზე ემჩნე-
ოდა, რომ ავადმუნოფობდა.

ნინ, ოდნავ მარცხნივ, წვრილი ტანძ-ერზეტა ძეირფასი, ისევ უძველესი ფუზე-როლი კეკლუცობდა, რომელშიც წითელი, კოლხური დვინო მდუმარებდა. მეგობრები! ნუ გიკვირთ! ცოტა ხნით რომ ვშორდები ზღაპრულ სივრცე-გარემოს...

კონსტანტინე გამსახურდიას პრო-ზას; როდესაც ხარ მოაზროვნე ინტელექტუალური მკითხველი, ღრმად გრძნობ, განიცდი და სუფთა სულიერებიდან დაწყებული, უთვალავი ნიუანსით გაზიარებს გამაოგნებელ წეტარ სურნელოვან სიამოვნებას; ასევე გონიერივად გამდიდრებს და ზეციური სიმაღლეებისაკენ წვდომებს განგაცდევინებს. სიახლე, სიტყვა-ფორმათა, ხაზ-ფერთა, მშვენიერების მოსვლას რომ გვაზიარებს და ბოლოს მაინც იდუმ-ალ მაამებელ განწყობილებათა მთლიანობას საკმარისად ვერ დაახასიათებ და ახ-სნი. უთუოდ ურთიერთების-ღვთიური განძია, ჩვენდა ბედად აღმოჩენილი...

დავუპრუნდეთ საოცრებათა დარბაზს:

ჩემი მენიუ ამდაგვარი გახლდათ:
ფაიფურის ლამაზ თეფშებ პატარა ნაკვე-
თი ღომი იდო, სულუგუნწმახარშული; მეო-
რეზე, მცირე, დაჭრილი მეგრული ხაჭაპუ-
რი. ცოტად და მოკრძალებით ორივეს
ვეახელი. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო,
უფლის მაღლით თუ შედგებოდა, ოცნებად
ქცეულ ბატონ კონსტანტინესთან მოკლე
საუბარი. დაისხი ღვინო! წვრილი, ავადმყ-
ოფური ხმით შემახსენა და ფუჟეროლი ას-
წია, რითაც სივრცე უჩვეულო მოვლენად
შეივსო და, საქართველოს გაუმარჯოს!
მოკლედ წარმოთქვა. ფეხზე არ ადგე! ისე
მიირთვი! თითქმის ბრძანა. შემდგომ თა-
ვის თეფშს დასცექრის, ისე მეკითხება,
ბინა საკუთარი თუ გაქვს, ყმანვილო?!

არა, ბატონო, ნაქირავებში ვცხოვრობ.

ციგანი მთავრობა! გალიზიანებულმა ჩაი-
ლაპარაკა, შეიძლება უხერხეულად, მაგრამ
ჭურჭლისკენ გადაიხარა და ისევ გაინ-
თავისუფლა პირის ღრუ. მუდამ იმდენად
უძლეველად მიმაჩნდა უპირველესი ხელო-
ვანი, არ შემცოდებია.

ରୀମେଲିମ୍ ଟେମାଥ୍ୟ ସାଉଫ୍ଟାର୍ସ ମେଗର୍ଜୁ-
ଲାଏ ରୀମ ଡାମିନ୍ୟୁବ୍ଦା, ହୀମ୍ବି ମିମାଙ୍ଗେ ଝାନକ-
ମିତ କାଶ୍ୱବ୍ରି ଆର ଥାର୍ସିନ୍ୟନ୍ଦା. ସାନ୍ତିର୍ଭେର୍ସମ
ଇସଟିରାଠ୍ୟ କିତବ୍ରେବୀ ଅନ୍ଧିମ୍ୟରାଏ ରୀମି
ଡାକ୍ସୁସ୍କୋ, ନାରକ୍ଷେପଣ୍ୟଲମ୍ବା ମାର୍କ୍ସଟିରମ,
ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରିଲ୍ଲ କିଲାଟି, କାରତୁଳାଏ ଗାମତ୍ରା
କାଶ୍ୱବ୍ରି. ଅମାସରକାଶି ମାସକିନ୍ଦିଲ୍ଲିସଗାନ୍ ଦାଳିାନ୍
ସାନ୍ତିର୍ଭେର୍ସମ ଡା ଲରମାଏ ଗାନ୍ଧିଶ୍ଵାଵେବ୍ୟ-
ଲି ବାସିବା-ଗାନ୍ଧିପ୍ରକାରୀକାର୍ଯ୍ୟରେବା ବ୍ୟଲିନ୍ଦ୍ରେବ୍ୟ-
ରା... ବାତ୍ରନି କର୍ମିକାର୍ଯ୍ୟରେ, ରାଗମରାଦାତା
ବାଲ୍ବି ବାସିବାରେବା, ଖୁବିକାର୍ଯ୍ୟ ବୁଦ୍ଧିକାର୍ଯ୍ୟ-
ବାଠି, ଅନ୍ଧିମ୍ୟ ଶୂନ୍ୟ କିରଣବ୍ୟବୀକାର୍ଯ୍ୟ, ମରାଵାଲ୍ଲ-
ଫ୍ରାନ୍ତିମିନିବା ଫ୍ରାନ୍ତିକାର୍ଯ୍ୟ ବ୍ୟବୀଶ୍ଵରୀକାର୍ଯ୍ୟରେ
କିମ୍ବା ବାତ୍ରନି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ყმანვილო! ღვინო გაიხსენი, რომელ-
იც გნებავდეს. სამი ბოთლი ერთად იდგა
შეჯვეულებული: საფერავი, კახური და ტი-

ნებისმიერი მდგომარეობისას განსხვავებული აზრ-წარმოდგენები არ გასვენებს: მგონი არაა საჭირო, მწერალი

აეკლია გამომდინარე, აუცილებელია
გაგაცნოთ ის საინტერესო მოგონებები,
რომლებიც მაკავშირებს ბატონ კოლია
კანდელაკთან.

კვირა დღეა; ისვენებს სამხატვრო აკ-
ადგიმის უსუცესი პროფესორი, ქანდაკე-
ბის ფაკულტეტის დეკანი და შემოქმედებ-

ତ ସାକ୍ଷୁତାର, ଉଚ୍ଚାରମାଳାର ସାହେଲୋନସନ୍ଦଶୀ ଓପାକେଶୀ, ମତ୍ତେତୋଟିର ଜୁହାଥୀ ମିଲ୍ଲାକେରାଫାରାଦ ଯୁଗେଲାଭ୍ରାତିରୀରା, ଧାରାବୁଲୀ, ଶେମୋକ୍ରେମ୍‌ଏବେଦିନାର ତାତ୍ଵଦାର୍ଢେବିତ ମୁଖୀରାମ୍ବାର୍ଦୀରେ ବାତ୍ରିନ୍ କରିଲୀବାରାନ ଗାମରୋନୀଶବ୍ଦେଲ ଧର୍ମବିଶ୍ଵାର ବିଶ୍ଵିରାଦ ଧାର୍ଵଦିନରେ, ରାତ୍ରିର ଶୈପାରାର୍ଥୁଲୀ ବିପାକୀ ମନ୍ଦିରାବ୍ଦାରୁକୁ ନେବିଲୀମାର୍କିର ନାହରିନ୍ କ୍ରମିଲ୍ଲାହାଥୀ ଦେବରୀର୍ଲୀ ଗିନାରାବତ ଅଳପାତ ଆକାଶ ବେରାବାରେ ଦିନୁଶତି, „ମିର୍ରାଲୀର୍ଲୀ“, „ଘର୍ମରାଲ୍ ତାଲିବୁନ୍ଦୀର୍ଲୀ“ ଦା ମରାବାଲୀ ପରାତର୍କର୍ମୀତି ଶେର୍ବର୍ଣ୍ଣବେଦି: ଧର୍ମେ ବିଶ୍ଵିରାରି ତାତ୍ରାରା ମାଗିଦାଶବାର ଦା କ୍ଷାଦରାକୁ ବିତାମାଶବତ୍ତ. ରମେ ମର୍ମିଲ୍ଲାବ୍ଦୀ, ସାଶତ୍ରିକାର ମର୍ମିଲ୍ଲାଶବଦା ସାବ୍ଦ ଦା ମନ୍ଦିରାଲୀ, ମର୍ମରୀବାର୍ଦ୍ଦୀ ରିମାପୁରିଲୀ ତମ୍ଭେବିଦାନ ମରମ୍ଭନ୍ଦାନି ତାବାଲୁବେଠିତ ଧ୍ୱମନ୍ଦିରିତ ପ୍ରୟୁକ୍ଷର୍ଦ୍ଦିତା. ରଙ୍ଗଗର୍ବ କି ମରମିଗ୍ରବ୍ଦା, ମେଲ୍ଲାଦିଲ୍ଲେ କ୍ଷାଲପାତ୍ରନ ଶୁଣିବା, ଉମାଲ ଶୁକାନା ରତାଶି ମରମ୍ଭନ୍ଦାଶ୍ଵରୀଶିଶ ଶେଶଦାକେବଦା, ନାରମମଶବଦିତ ରଞ୍ଜୁସି, ସାନ୍ତ୍ରିକବ୍ରତୀର୍ବର୍ଜନ୍ମଗ୍ରେଲୀ ଗାଥିଲାତ; ମହିାର୍ମଣି ଦା କ୍ରେଇଲମିଶବଦିଲୀ ଅଧାମିବାନି ଶୁଣିବା! ମର୍ମିଲ୍ଲାବ୍ଦୀ ରେଥିଲୀ! ରିଜାରା କରିବାକୁ ଗାମନିତାନ୍ତରୀ! ମେତ୍ର କାଲିବାନ ଆର ଗାନ୍ଧିପ୍ରଦିତି ଦାତାନ୍ତର କରିଲୀବାରାନ ନାଗ୍ରଜେବ୍ଦୀ. ଏରତବେଳ ଧିନି ମରମ୍ଭନ୍ଦାକୁ ତାତ୍ଵର ଶର୍ମିଲ୍ଲାବ୍ଦୀ କାହିଁବାରାନ ନାରମମଶବଦିତିରୀକରିବାକୁ: ନାରମମଶବଦିତିରୀକରିବାକୁ

თაროებიდან დაწყებული, შედევრ-ქან-დაკებებით იყო სავსე. მიმიყვანა ბატონ კონსტანტინეს, მხოლოდ დაწყებულ, ბი-უსტ-პორტრეტთან. ძლიერ აღვფრთოვანდი, რადგან შესანიშნავად იყო ხასიათ-განნებობილება დაჭერილი და სახის ფორმათა გამოკვეთილი ძერნვა? შეუდარებელი ფრანგი მოქანდაკის, ანტუან ბურდელის გამოქანდაკების დონეზე. აკადემიის პირველ-მეორე კურსის სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, ყოველგვარი მეცადინეობით და მიზანს წრაფვით, ქანდაკების ფაკულტეტზე გადავიდოდი, მაგრამ... რატომ არ დაამთავრეთ პორტრეტი, ბატონო კოლია? გულდაწყვეტილი ვეკითხები. უსათუოდ! რთული ხასიათის კაცია! ერთხელ მოვიდა მხოლოდ, იჯდა ნორმალურად. არცეკი საუბრობდა, ფიქრებით ჩემთან არ იყო. ორიოდე სუანსის შემდეგ მეუბნება: ან, ბატონო კოლია, დანარჩენი შენი საქმისა შენ იციო, როგორც როდენმა, უნატუროდ გამოძერნა, ვიქტორ ჰიუგო, მაგრე იმოქმედეთ თქვენცა: უსათუოდ კაცო! უცნაური პიროვნებაა...

გენია საუფლოს...
კონსტანტინე ბატონი! ღვინისგა
ოდნავ შეთამამებულმა დაბალი ხმით

დილარ ივარდავა

სინაცელი და გულახდილობა

კინ მომისაჯა მე კაცუნებთან
წუთისოფლის გზის ტანჯვით გალევა?
მირაჟს სცოდნია ყალბი ცდუნება,
სულ მაცდურ ძალით რომ მეძალება!
ბნელ მავანებთან მყოფმა ნიადაგ
ვერ გავათეთრე რაც გავაშავე,
სულ მუდამ როგორ დამაგვიანდა -
ფრთხი საფრენად ვეღარ გავშალე!
ნამიერ ამქარს ვეღარ ვეწყობი -
მათ ორპირობა დაქვთ ხელობად,
უდაბნოს სამუშას ვით შევერწყოდი -
მათ გვერდით ალში ძალზე ცხელოდა!
ეს „ალბათ უფრო ბედის ბრალია -
არ მწამდა,
არ მწამს უამი მეფობის,
მოხვეჭისათვის არ მიწვალია -
კვლავ ერთგულების არსში ვეფლობი!
თუ წავალ ვიცი,
იტყვის არავინ
ულალატაო სინდისს და ნამუსას,
ბოლომდის რჩენით დაუფარავით
სიკვდილის მერეც ვენუკვი მამულს!
ისე, თავიდან უნდა განსაჯო,
კაცითვე არის მდიდარი კაცი,
ხშირად თავიც კი უნდა დასაჯო,
რომ არ გაუხდე საყრდენად მაცილს!
უნდა ეცადო - წამით არ მოხვდე
სცილა-ქარბიდას ნალების შუა,
ვიდრე ცოცხალ ხარ -
ერთხელ რომ მოხველ
არ დაგიბინდოს სიხარბეშ ჭკუა!
დასაბამიდან ამ კაცუნებთან
ვჭრეტ და...
ვერ ვხვდები დილის თენებას,
მეფისტოველი თუ მაცდუნებდა
ამგვარ სიცოცხლეს
ლვთით შეჩენება!

სიმღერის უკვდავება

სინრელოვნება გრძნობის მომცველი...
უკვდავთა გზების თანმდევი პანგით; -
მღერალი ვნების ლვთიურ ლოცვებით,
წლების მანძილზე სიმღერას მარგლის:
- ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მინაზე გოგდება...
ქალი რად გინდა უცხო მხრის?
დასწეულდება, მოკვდება!
სამართლე ქარგავს ეს ოქროპირი, -
შეხმიანება ლანდი წინაპრის,
სამღერაა და თან როგორ ტირის,
იბრნყინე ურჯოლავ, როგორც
ბრნყინავდი!
არ აყოლისარ ცდუნება-მოდას,
ვანმეს ეხილე უგრძნობ ნაფოტად!
მართალმა ლექსმა ბაჯალლო ზოდად,
რამდენი წლების ზლვები გასტოპა!
ბოლომდის დარჩა ხასხასა ფერის
და ის დღესაც კი -
ლვთის ნობათია,
კიდევაც ტირის,
კიდევაც მღერის
და ასე წლები წლებზე ათია!
დარჩა მწყაზარი, პირველი

და აურიალებს ტრფობაზე სევდას;
მისთვის პანგია წუთისოფელი,
განშორებათა წუხილი, ხედება!
ლვთით დალოცვილო,
კვლავ თრთი ნერვებად,
არ იცვლები და რჩები იგივე!
ამიტომა თავზე გევლება
მზე პოეზის -
სხივმობიბინე!

ვაი, ამდაგვარ სიცოცხლეს

ისევ სისინებენ სატანები,
ხარხარებენ სისხლისმსმელი ვამპირები,
ვყოფილვართ ჯოჯოხეთის ამტანები,
ცხოვრებაში - კეთილები ნატირები!
მკერდზე ირტყამს პოეტი დანას,
მხატვარი - შუბლში ტყვიას, -
ხელ და თვალშუა დაინგრა ქვეყანა
და ბევრს ჯერ ვერ შეუტყვია!
შიმშილით კვდებიან პოეტები,
უპატრიონდ - კომპოზიტორები,
პოლიტიკოსთა,
მიეთ-მოეთები
ღირსია ვირის ტვინთან მიტოლების!

სოხუმის დაცვა

რეკვა,
დარისხვა ზარების...
ვისმენ წუხილს და გოდებას, -
ღმერთი!
ნუთუ რუსს დავნებდით,
ეს რა ბალდამი გროვდება?!
თბილისში ქართველთ ლაშქარი
ძლეული
რცხვენით ბრუნდება!
გაყვერი!

ხახა გამშრალი -
პონტოს ზღვა
უფრო ბრუნდება!

ყავას სკამს
სარდალი სიონში,
დაენყო პარანოია, -
ქართველთა სიტყვა რიოში
მსოფლიოს წყევლით მოიარს!

ჩამპრალა რწვენა და აღმაფრანა

სიყალბის წუმპე გვწვდება ყელამდის,
ვგავართ უდაბნოს მონამლულ ანჩანს,
დრო იყო
საქმით მართლაც ველავდით,
დღეს კი საშველი არსიდან არ ჩანს!
თავისუფლება გახდა მირაჟი,
რაც გვჭირს უთუოდ კლოუნთ წესია!
დაწრეტილი გვაქვს ყოფის ილაჯი
და ვიმერით იმას, რაც გვითესია!
ბნელში ჩანთქმულა ველაფრის რწმენა,
ცივია გულიც და ალმაფრენაც,
დავმსგავსებულვართ ქეციან მწევარს,
ჩაშრეტილ თვალით დამდუღრულს
ცრემლად!

ყოველი დღე ხომ სასტიკად გვდალავს,
უფლის შენდობა არ გვეკარება; -
დააფიქსირა გოლგოთის თაღმა
ქისტიანულად ჩვენი წამება!

ლალი გულისაშვილი

გვიან დაუდგა კაპიტალიზმი
ჩემს ქვეყანას,
მაგრამ ხომ დაუდგა!
ქალაქს რა უჭირს,
აგერ, ჩემს კახეთშიც
წამოგორებულან კუნთმაგარი ჯეელები
ინგლისურნარერანიდახლების გვერდით
და ადარ ახსოვთ,
რომ შეჭამა თხამ — ვენახი და
უანგმა — თოფი...

19-ე საუკუნის
მსხმილიარე უურნალ-გაზეთებიც,
დიდი ხანია, რაც გაბერნდა და
თვალის ერთი გადავლებით
ვკითხულობთ კველგან;
ვეძებ... ვცვლი... ვყიდი...
ვყიდი ნალდით ან გადარიცხვით...
...დადიან ჩემი ქართველები
უცხო გზებისკენ გაგზირებულნი
და ვერ ხვდებიან,

როგორ შეჭამა თხამ — ვენახი,
და თოფმა — შვილი... მიწამ კი...
მიწამ დიდი ხანია
ის ქართველიც შეჭამა,
სალი კლდეები რომ დაიფიცა,
არ გავცვლიო...
...და მაინც ვეძებთ,
„ვცვლით, ვყიდულობთ, ვყიდით,
და არსად არ გაბედება
ამგვარი განცხადება;
„არ ვცვლი ჩემს კეთილმოუწყობელ პინას
სამყაროს გარეუბანში
სხვის კეთილმოწყობილ სასახლეზე
მსოფლიოს ცენტრში“...

რჩისფინას

შენი ტკივილები მე და...
შენი მწუხარება მე და...
შენი განსაცდელი მე და...
შენ მზეები, ყვავილები...
შენი მოვლით დავიღდები,
შენი დარდით ავტირდები,
ბევრს ვერაფერს დაგპირდები;
მამულს შეგაყვარებ...
ჭექა-ჭეხილს შეგაფარებ,
შურს და ღალატს აგაცილებ,
ბოლოს ხომ შენ გამაცილებ
ზეცის ბილიკებზე...
თუ ოდესმე მარტო დარჩი,
თუკი გერგო ჩემი ბედი,
არ გაკიცხო შემოქმედი,
მადლი უძღვენ უფალს...
მანამდე კი... შიში წუ გაქვს,
შენი მწუხარება მე და...
შენი განსაცდელი მე და...
შენ მზეები, ყვავილები...

სანათა

ინათა. სანათა ლოცულობს,
სანათას ძაძები მოსავს.
მუხლის იყრის, ჩურჩულებს,
ცრემლი სდის სანათას,
ველის შროშანს...
ინათა. სანათა გმირია,
ჭრელს კაბას იცვამს და მღერის.
ყველაზე მაღალი დედაა
სანათა-ბალახის ღერი...

ის ცა გახსოვს?
ის ვარსკვლავი,
შენამდე რომ მომიძლვოდა,
მტრედს ეჭირა სული ჩემი,
მოლზე უფლის ძოვდა...
მამას სევდა ამშვენებდა,
დედას — ანგელოზის ფრთები...
ის დღე გახსოვს?
რად მესიზმრა
ცასთან ჩამუხლული მთები?...

კი არ დაგტოვეთ,
მთვარის შუქში ჩაგსვით ჩიტივით.
ნუ გაგვაყოლებ ასეთ მზერას —
უნდოს, ნაღვლიანს.
ამ შემოდგომას
მარტო ჩვენთვის უნდა გაუძლო...
დაბრუნდები და
ის სიზმრებიც დაგავიწყდება...

უშენობის ნეუხერი საყდარივით მოჩანს,
ვინ მოგართმევს ფერმკრთალ,
გაზაფხულის შროშანს...
ვის ფეხთაქვეშ გაშლი
ჯერ გაუმხელ ფიქრებს,
მოწყინე, ანდა გენატრები იქნებ...
გჭირდები და ძახილს
ვეღარ მაწვდენ ბრუნდი,
ვის კალთაში ტირი,
ბურთგაჩრილი ყელში...
ვეღარაფერს გშველი,
უკვე ისე ბნელა,
სიყვარულიც ქრება, ნ
ელა, ნელა, ნელა...

გამოთხვევა

ნახვამდის, ჩემო სიყვარულებო,
ყველას ერთად გემშვიდობებით...
ჩვილი ბავშვის უმწეო ხმით
ტირიხართ ჩემში.
მე თქვენთან მხოლოდ
განშორება თუ შემიძლია,
დაბრუნდებით კი,
აბა, როგორ დაგიბრუნდებით —
შეშლილივით სუფთა და წმინდა
მივდივარ თქვენგან...
გფარავდეთ ღმერთი!
უძვირფასესი შეშლილები
და წმინდანები
უკან ხომ აღარ ბრუნდებიან,
მიდიან მხოლოდ...

სანთელივით მადგას შხრებზე,
შენი მზე და შენი მთვარე,
დღეს თუ არა, ხვალ გაგიფენ,
ფეხქვეშ დარუბანდის კარებს...
დღეს თუ თავს ვერ შემოგნირავ,
ხვალ მოგიტან მკერდით ისარს,
ბაზალეთში შვილს გაგიზრდი,
რომ მეძებდი, ეგებ ის ვარ...
სიხარულით დავაკვდები,
შენთვის მოღერებულ დანას,
შირაქისკენ ცხვარს დაგიმწყება,
მცხეთას მოვმეი პურის ყანას...
ეკლესიას აგიშენებ,
რომ მწატრობდი, ეგებ ის ვარ,
ხნულში ჩაგრგავ ყვავილივით,
მკერდით წამოღებულ ისარს...

ეთერ ზაქარიაძე

ეპიგრაფის ოცნება

რომ შემძლებოდა სამშობლოში
მეთვალა დამით,
ცაზე მძრნებინავი ვარსკვლავების
ნათება მალვით,
ერთს შევარჩევდი, ფიქრს გავანდობდი,
დარდს გავანდობდი იმ ერთი ნამით.
თუნდ სულ ცოტა ხნით რომ მენახა
სამშობლო თვალით,
რომ შემძლებოდა უეკლოდ მოწყვეტა
ვარდის,
ან ის სურნელში მეგრძნო სურნელი
დარდის,
რომ შემძლებოდა სამშობლოს გულზე,
ერთხელ მაინც დამედო თავი,
დავთმობდი მზეს და დავთმობდი
მთვარეს,
განა არ ვიცი, რომ უეკლოდ მოწყვეტილ
ვარდს
სურნელი არ აქვს, იოლად ჭკნება და
ქრება...
ქალის ბედიც ხომ ასეთია, ტკივილის
გარეშე,
საბედნიეროდ, ბავშვიც არ ჩნდება.
ტირი თუ მღერი... გძულს თუ გიყვარს...
ყოველივე ეს სიყვარულით ხდება...
და მაინც, ისევ და ისევ, სამშობლოს
ეხედავ,
„ცარცის წრეს“, სადაც ორნი წენავენ,
გლეჯენ,
რაც გულს აღონებს და თოეკიც წყდება...
ბრძოლის ველზე ვინც უგულოდ დება,
და ორი ბედმავი სული სასწორზე
ხდება...
ერთი დუღს, ახალია და გრძნობით ვერ
ძლება,
მეორე სული, გამოწურული, ბოროტია
და კვდება,
სიკეთე გადაწონის და გამარჯვების
დღეც
ალბათ ისევ ოცნებებში, სულ მალე
დგება!

გიორგი ხარაიშვილი

გაზაფხული

ჩვენ მუდამ ასე მარტო ვიქენებით,
ფიქრით,
მუსიკით,
ვისკით,
სიგარით..
ჩვენ შორის მუდამ ასე იდგება
იმ განშორების ლურჯი ტიხარი...

მონეს ფერები შენც გიმონებდა,
თავისი წვიმით,
ტბებით,
ალერდით...
მეც მივდიოდი ხოლმე მონესთან
და შენს სუსტ სხეულს უუთვალოებდი.

გადავუარეთ თითქოს კალაპარს,
ისე დავდინით და ისე დავიწვით...
ხომ ვიცი, ახლა არსად არა ხარ,
მაგრამ თვალები გეძებს თავისით..
ახლა კი წვიმს და სველი ფიქრები,
იმ გაცხელებულ სიზმებს მიქარვებს...
ჩვენ, რა თქმა უნდა, მარტო ვიქენებით
მარტით,
მუსიკით,
ვისკით,
სიგარით...

მადონა კალანდია (საპოვნელა)

მიყვარხა!

გულისგულში ჩასასმელო,
სულისსულში გინახავ,
უტკბილესო აფხაზეთო,
დედა ხარ და მიყვარხა!
ჩემი თვალის ჩინი ხარ და
შენით ვხედავ სამყაროს,
არა, ძალა არ არსებობს
მე რომ შენგან გამყაროს.
ჩვენს სიყვარულს რას დააკლებს
რუსი ან სხვა ნაცია,
შენი ჭრელი გაზაფხული
ტაზე კაბად მაცვია.
მზეც ხარ, მთვარეც, ვარსკვლავებიც,
ყველა შენში ბინადრობს,
ვინ არს, თუნდაც ერთხელ გნახა,
ისევ აღარ გინატროს.
სულისსულში ჩასასმელო,
გულისგულში გინახავ,
უტკბილესო აფხაზეთო,
დედა ხარ და მიყვარხა!

ეთერ ზარიძე-ფერაძე

რაც შენ ნახვადი

რა საამური საღამო იყო,
წყარად ვისმენდით ერთად ბეთჰოვენს,
გავიდა ნლები ახალგაზრდობის
და შენს სიყვარულს გამოვეთხოვე.
მის შემდეგ ბევრი გავიდა წელი,
ბევრჯერ მოთოვა შორეულ მთებზე,
მე ისევ თითქოს რაღაცას ველი
და ძველ სიყვარულს ლექსებში ვეძებ.
ანმყოდან ვერსად ვერ გავიქეცი,
ძველი ფიქრებიც ვერ მივატოვე,
რაც შენ წახვედი, მერე ვიგრძენი,
რაა დუმილი და სიმარტოვე.

ივეტა პავლიაშვილი-დოხნაძე

ლად ოცნებას გაცრეცია ფერი,
ლრუბლის ქულა დასთამაშებს ნისლებს,
მიჭირს აზრებს მოვუყარო თავი,
რაც ჭალარა შეერია ფიქრებს.
ვეფერები შემორჩენილ აწმეოს,
დამანაფოს გაზაფხულის კვირტებს,
მერე რა, რომ დღეს წარსულით
ვცოცხლობ,
და წარსულით ვავირისტებ რითმებს.
დამაცადეთ ერთი წამლერება -
იარები მოაშუშოს იქნებ!.
იქნებ კიდევ გამიმართლოს ბედმა,
გამილიმოს ცრუ იმედით დაღლილს,
დამანახოს ის ვარდობის ხანა -
გაზაფხული იალქებს რომ გაშლის!

ფიქრია ბროლაშვილი (ფიქო)

გილია შენაგლა

არ გაქვს უფლება არ აპატიო,
მოყვასს ჩადენილი ცოდვები,
თავად უფალს სთხოვდი შენდობას,
ღამეს ათევდი გოდებით.
თუკი სინაზული მასში გაიღიძებს,
ცრემლით აევსება თვალები,
თავი დაუკარ და გაულიმე,
სულს ნუ გაუტანჯავ წვალებით.
ჩვენი დათესილი სიკეთით,
სულის იარებს ვინამლოთ,
სამოთხის კართან რომ მივიდეთ,
შენდობა უნდა ვისწავლოთ!

გელა ბუილლიშვილი

ახალი რვეულიშვილი

ემმა! შავ თვალთა კრთომამ,
მე ამიბორგა სული,
შენს ახლოს ასე თრთოლამ,
ლამის მომიკლას გული,
ვერ გავეყარე ფიქრებს
დღემუდამ შენზე მთხოვბელთ,
კვლავ ველოდები ფიქრებს,
ისე ვით მასარობლებს.
ფიქრებსა და ოცნებებში ჩავეფალი,
ქუჩებში ჰქონის თეთრი გაზაფხულის ქარი.
ემმა! --აღმოხდა ბაგეთ,
ემმა! --აღმოხდა გულსაც,
ოცნებავ, მითხარ-არგე
შენ ამ გულს დადაგულსა?!

ემმა შავ თვალთა კრთომამ,
ემმა შავ თვალთა კრთომამ,
ემმა შენს ახლოს თრთოლამ,
ემმა! შენს ახლოს თრთოლამ....

ლალი ელენე ლაზაშვილი

სვანეთის მთები

სვანეთის კალთებზე ნისლი განოლილა,
მისი სილამაზე ზეცას აბარია,
ჩუმად ჩურჩულებენ უშბა და თეთნულდი,
მთებზე ლოცულობსო ჩვენი ლამარია.

შხარა და უშგული თეთრად ირთვებიან,
ბალახს შერჩენია დილის ნამის კვალი,
ქედნის ლულუნია მათი იავნანა,
მწვანედ მობიბინე დალის ნატერფალი...

სიყვარულის კოში მზის სხივს ეფიცხება,
მწვერვალებზე თოვლის დიდი საფარია,
მოდის, ლილაშუნე, მოდის, ლილაშუნე,
გალობს სიყვარულით, თურმე, ლამარია!

მკრთალი სანთლის ალი ქედებს ეფერება,
მთებში გაფანტული ფიქრებს აპოლია,
თურმე, მიაგული აღარ ელოდება,
ოტიასთან ერთად ცისკენ გაჰყოლია...

...კოშკის ჩრდილებს ქარი ნაზად
აქანავებს
და სვანები დამლერიან ენლილე და
ლილეო,
აქ, ამ ლამაზ მხარეში, ყვავილების
თარეშში,
თურმე, ღმერთმა ააგო სიყვარულის
მლვიმეო.

შეხეთ, ლექსში აგორდა სვანურ მთებზე
ნამლერი,
როგორ ცვივა კლდეებზე მზის სხივების
ნამქერი,
უშგული ვერ მშვიდდება, ისმის ქარში
ძახილი,
აილამა, ლალვერი, აილამა, ლალვერი!

საქართველოს მთებია, მთები სუნთქავს
ლამეში,
ეს, სვანები მღერიან, ენლილე და ლილეო,
აქ, ამ ლამაზ მხარეში, ყვავილების
თარეშში,
თურმე ღმერთმა ააგო სიყვარულის
მლვიმეო!

ელისო ქიტიაშვილი

თავისუფლებას ვეძმეთ,
ფარად მზესავით გვფარავს,
თავისუფლება ერებს
მტკიცე სიცოცხლის დარად.

თანასწორობა ერთა
ანთებს სისარულს ძლიერს,
დიდი ილისა ხელთა
გვმატებს მოსავთა იერს.

თითქოს ადამისი სუნთქავს,
ვუდრო ვილსონი შევრის,
სულ სხვა ცხოვრება სურდათ,
სულ სხვა მომავლის ფრთებით.

თანასწორობა ერებს,
მტკიცე სიცოცხლის დარად,
თავისუფლება ერებს,
თავისუფლება მარად.

ქეთევან ნადირაძე-ყოჩიაშვილი

საქართველო

სიყვარული უკვდავების ხიდია და
მარადმწვანედ ყოფნას მუდამ შეძლებს,
ვინც ამ გზაზე გაიარა, იდიადა,
ალბათ მიტომ მოვალნიერ დღემდე.
საქართველოვან, მისითანა უწყვეტ ძაფით
მინდა, შევკრა შენი ყველა მხარე.
დაგიბრუნდეს სიტყბო, სითბო ბუმერანგით
ასმაგად და ათასმაგად სავსე.
ოქროს სიმზე გაქვს ასხმული მარგალიტის
ყველა კუთხე, მტკაველი და მინა.
მზის გზავნილი ქარვისფერი გადგას სხივი,
ოდიოგანვების შენს მკერდზე რომ იწვა.
გაღვივდება, გავრცელდება შენი სითბო,
აფეთქდება ულუკანივით ერთ დღეს.
სიყვარული ქვამაც უნდა შეისმინოს,
სიყვარული შეუძლებელს შეძლებს.
უკვდავების ვარდის სუნდის სხეულს,
ყოველთვის რომ ფიქრები ერთ და
დაგინახავ აყვავებულს, გაბრწყინებულს
სიკეთით და სიტყბოებით სავსეს.
სიყვარული უკვდავების ხიდია და
ალბათ მიტომ მოვალნიერ დღემდე.
ვინც ამ გზაზე გაიარა, იდიადა,
მარადმწვანედ ყოფნას ამ გზით შევძლება.

თემურ ფანჯიკიძე

ვ ლ ი რ ტ ი

ახლა, როცა ბავშვები, ახალგაზრდები ან თუნდაც ძველი თაობის წარმომადგენლები ხელში აიღებენ მობილურ ტელეფონს, ლეპტოპს, ან სულაც კომპიუტერს მიუჯდებიან და ერთმანეთს უგზავნიან ესემესებს: ხან თავის, ხან სხვის აზრებს, ნაირნაირ ფოტოებს, ვიდეოებს, ყვავილების თაიგულებს, გულებს და ვინ იცის კიდევ რადას არა, ძველი დრო მახსენდება, როდესაც ასეთი საშუალებები არ არსებობდა, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობას რაღაცით მაინც ვახერხებდით.

ერთ ძველ ამბავს მოგიყვებით: ახალი გასტუდენტებული ვიყავი, უნივერსიტეტში ლოგიკის ლექციაზე ვიჯექი, გვერდით მშვენიერი თანაკურსელი გოგონა მეჯდა, რომელთანაც დასვენებაზე საუბარი ვერ მოვათვე და ლექციაზეც გავაგრძელეთ. ლექტორმა ერთხელ მოგვცა შენიშვნა: „ხელს მიშლითო!“ მეორედ, და რომ ალარ გაეჩერდით „საუკეთესო დახასიათებით“: თქვენგან ხალხი არ გამოვაო!“ გარეთ გამოგვისტუმრა.

ცუდი ამინდი იდგა, წვიმდა, ციოდა, ამიტომ შორს არ წაესულვართ. იქვე დერეფანში დადგმულ მერხზე ჩამოვჯექით და ფლირტის თამაში დავიწყეთ. ფლირტი, მოგეხსენებათ, სალონური თამაშია, რომელიც ძველ თაობას კარგად ახსოეს. ცალკეულ ბარათებზე ყვავილების სახელებია დაწერილი და შემდეგ სასაუბრო ტექსტი წერია, რომელიც პარტნიორს უნდა გაუგზავნო. ამოცანა იმაში მდგრამარეობს, რომ მონახო ისეთი ტექსტი, რომელიც შენს ნაფიქრს და სათქმელს გამოხატავს და მან კი ასეთივე წესით უნდა გიპასუხოს. . ზოგ შემთხვევაში, იქ, ისეთი თამამი აზრებია დაწერილი, რომლის თქმაც პირად საუბარში მოგერიდება. ფლირტი, ფლირტაობა ერთგვარ, მსუბუქ არშიყობას ჰყავს, რომლის დროსაც პარტნიორს შენს მოწონებას და სიმპატიას უმხელ...

ფლირტზე დასახელებული ზოგი ყვავილის არსებობა სწორედ მაშინ გავიგე: ვარდსა და იაზე, ყაყაჩოზე, გვირილაზე, ენძელაზე, ნარგიზზე, სვიაზე, შროშანაზე, იასამაზე, მიხაზე არაფერს ვამბობ, ესენი ვიცოდი, მაგრამ ისეთი ყვავილები როგორიცაა: არღავანა, უნიურუკო, სოსანი, არჯაკელი, ხაშაში და ზოგიერთი სხვა მაშინ პირველად აღმოვაჩინე.

ჩემი დიალოგი ნარგიზით დავიწყე: „თქვენ მშვენივრად გამოიყურებით!“ რაზედაც პარტნიორმა არღავანათი მიპასუხა: „შესაძლებელია!“

არ დავახანე და პირდაპირ საქმეზე გადავედი — უნიურუკო: „შეყვარებული თუ გყავს?“ ენძელათი მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა: „მე არავინ

მყავს, ისეთი, რომ გულის ნადები გავუზიარო!...“

ახლა შროშანათი მივმართე: „ მე თქვენ მომწონხართ!“

ხაშაში გამომიგზავნა : „არა მჯერაო!“ და ზედ ყაყაჩოც მოაყოლა : „თქვენ ჩემით თავს ირთობთო!“

მე სუმბულით ისევ სერიოზულ მოწონებასა და სიყვარულზე ჩამოვუგდე სიტყვა: „ ოჯახზე რას ფიქრობთქო? !“ მან კი სვიათი მიპასუხა და იმედი სულ გადამინურა : „მეგობრობის მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთო! ...“

ისევ იერიშზე მინდოდა გადასვლა, რადგან იელში ამოვიკითხე, რომ: „ერთი გაბედული ნაბიჯი და გამარჯვება თქვენია!“ მაგრამ, ამ დროს, შუა თამაშში ჩაფლულთ, უნივერსიტეტის პრორექტორი გრიშა ხავთასი დაგვადგა თავზე, რომელიც სიმკაცრით იყო განთქმული და რომ იტყვიან, ფაქტზე დაგვიჭირა: „ ამ შუა ლექციაზე დერეფანში რა გინდათ და რას აკეთებთო? !“...

პირველყურსელები ვიყავით და ძალზე შევშინდით. დიდი მუქარით ჩაგვიყვანა რექტორატში, სადაც თურმე სხდომა უნდა ჩატარებულიყო და რექტორის მისაღები პროფესორ-მასნავლებლებით იყო სავსე. ბატონმა გრიშამ იქ შეერებილებს აღშფოთებით გამოუცხადა: ეს ორი ახალგაზრდა უსაქმური ლექციას აცდენდა და დერეფანში აზარტული თამაშით იყვნენ გართულიო. სხვებმა იკითხეს რა აზარტულ თამაშს თამაშობდნენო : კამათლებს აგორებდნენ, ბანქოს თამაშობდნენ თუ სხვა რამესო? რომ გაიგეს ფლირტით ერთობოდნენო, აფეუუნდნენ, ღიმილი ველარ დამალეს, მაგრამ გრიშას განაწყენებას მოერიდნენ და ზომიერად შეგვჯორეს — „ ეს როგორ შეიძლებაო! “ ფლირტი, როგორც მამხილებული ნივთმტკიცება, ჩამოგვართვეს. ჩვენ კი ზეპირი საყვედური გვაკმარეს და პირობაც დაგვადებინეს, რომ ლექციის დროს ფლირტს მეტს აღარ გავეკარებოდით. ..


და მართლაც, მეტი აღარც გვითამაშია, რადგან, ჯერ ერთი, აღარ გვქონდა, და მეორეც, საკმაოდ გავთამამდით და კომუნიკაციის უფრო მოხერხებული ხერხები ავირჩიეთ . მოწონებული ქალიშვილისთვის რომ სიმპატია და გრძნობები გავვემზილა სულაც აღარ გვჭირდებოდა ფლირტი . შ. ასე იყო ეს ამბავი. ისე, ახლა რომ ვიგონებ და ვანალიზებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ბატონი გრიშა ცამადე მართალი იყო ! სწორედ აზარტული თამაშით ვიყავით დაკავებული. აბა, რომელი ბანქოს თამაში ან ზარის გაგორება შეედრება აზარტულობით ლამაზ გოგოსთან ურთიერთობას , ფლირტის თამაშს და თავის მოწონებას ?... ნეტავ იმ დროს !... ნეტავ იმ დროს !...“

მოცალოვები

ლექცია და იდეა

„დედაკაცი ბურჯი იყო ჩვენი მამულისა“ - ბრძანებს ილია ჭავჭავაძე. მართლაც გამორჩეულად ძლიერია ქართველი ქალი. მისი სულის სიმტკიცე სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანირად გამოიკვეთა: - რწმენის სიმტკიცეში, ოჯახის გაძლიერებაში, შვილების გმირებად აღზრდაში, სამშობლოსათვის თავდადებაში.

ახალმა ეპოქამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ქართველ ქალთა გაუტეხელი ბუნება. როცა საქართველოს ცას კაენის ჩრდილმა გადაუარა, როცა ძმათამკვლელმა ღმმა და გარეშე მტერთა სივერანემ დააძაბუნა საფი-



ნიგნში არაერთი საბავშვო ლექსიცა შესული.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ვინც ბალდებს კეთილგონივრულად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი, დიდობაში უგვად გამოილებს ნაყოფს“. მაყვალა მესხაძის ლექსები სწორედ ის კეთილი ნერგია, ხვალინდელი საქართველოსთვის რომ შრიალებს.

ვუსურვებ ქალბატონ მაყვალა შემოქმედებით ნარმატებას და საფიცარტო მამულში ბედნიერად დაბრუნებას, მის ახალ ნიგნს კი მკითხველის სიყვარულს.

მაყვალა გონაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

იანელ კოჭლამაზაშვილი

მე მოვდიოდი ყველა მხრიდან, ყველა კუთხიდან.

ციდან, მიწიდან, ჰაერიდან

და უჩემბობის სიცარიელეს

ავსებდა ლექსი,

მონატრების თავშესაფარი.

მე მოვყვებოდი ქართულ სიტყვას,

სუნთქვას მიწისას და ინთებოდნენ

დაბაზები სისავსით ჩემით.

მხრებზე შალით,

თავზე ჩიხტის თავისაფარით,

უცხო მხარეს ვამკობდი შარმით,

ხიბლით ქართულით.

ბრწყინავდა ზეცა, ვით უფლისციხე,

ვაესებდი სივრცეს უქართველოს,

ვაგებდი ციხეს ვნების ძაფებით,

უსამშობლო დღეების სუნთქვას,

შთავბერე სული უფლისმაგვარი.

„ბები, მიკითხე ზღაპრები, დედი, მიმღერე ნანაო, გთხოვთ, დაგვიპრუნოთ ოჯახში, ერთობის ტკბილი ხანაო... კაცებს დახურულ კვლავ ქუდი, აუმოქმედეთ მარჯვენა, რაღაც უცნაურს გვიქადის, უერთმანეთოდ დარჩენა...“

